“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№11 (301)
ოქტომბერი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ნინო მოდრეკილაძე

მასპინძელო – ასპინძელო

მ-ასპინძელო, გულიანო, ეზო-კართან
მეგებები, მოყვასისგან ქებული,
კოკორა პურს შვილებისთვის ქალაქს მატან,
მოგაქვს ბიში თაფლში ამოვლებული.

ღვინო? – ღვინო მზენაფერი, მჭადი – კეცის,
არის ვინმე, ეს გემო არ იცოდეს?..
შენ ღვთის სახლის ანგელოზად გადიქეცი,
როცა ქრისტეს მოციქული მიწოდე.

ვიდრე ყურუთს ჩავიფშვნიდე შეჭამადში,
საჯზე ცხვება ბაზლამა და გულამბო,
გამოწვევა მივიღე და მეც, ჭამაში
არა ბიჭოს, ომი იყოს, ვგულადობ.

მ-ასპინძელო, დაგელოცოს პური-ღვინო,
სტუმრისათვის ცხონება და ხარება,
საქართველოს გამარჯვებით სულ ილხინო,
მე ორივეს ლხენა გამეხარდება!

ლიტერატურული კონკურსი – 2023

შოთა რუსთაველის მშობლიურ მესხეთში და კერძოდ სოფელ რუსთავში ყოველწლიურად იმართება „პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა“, რომელიც მიზნად ისახავს ლიტერატურული კულტურის მხარდაჭერას, პოეტური აზროვნების განვითარებას და საქართველოში არსებულ სალექსო ტრადიციის სტიმულირებას.

2023 წლის „შოთაობის“ ლიტერატურულ კონკურსში, რომელსაც აწყობს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, ორმოცდაათამდე ავტორი მონაწილეობდა და საკონკურსოდ 200-ზე მეტი ლექსი იყო წარმოდგენილი, რომელსაც წინასწარ შერჩეული ჟიური განიხილავდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შოთაობის“ ლიტერატურულ კონკურსს მაღალი სალიტერატურო გემოვნებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე ჟიური ჰყავს, რომელიც ხუთი წევრისაგან არის შემდგარი.

ჟიურის წევრებმა საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსები ავტორის გვარისა და სახელის მითითების გარეშე მიიღეს, თითოეული ლექსი ცალ-ცალკე განიხილეს და შეაფასეს. შეფასება ხუთბალიანი სისტემით განხორციელდა და ბოლოს მოხდა ამ შეფასებათა დაჯამება. გამარჯვებული ავტორები სწორედ ასეთმა შეფასებათა დაჯამების შედეგმა გამოავლინა და აღმოჩნდა, რომ „შოთაობის“ ლიტერატურულ კონკურს წელს ოთხი გამარჯვებული ჰყავს:

I ადგილი – მაია მინდელი-ბენაშვილი;
II ადგილი – მზია სალვარიძე;
III ადგილი – თინათინ მაღლაკელიძე;
IV ადგილი – ციური ასპანიძე-მესხიშვილი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ კონკურსში (და საერთოდ 16 წლის განმავლობაში ჩატარებულ კონკურსებში) საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეობდა და აღნიშნულის გამო ეს კონკურსი არა მხოლოდ რეგიონული ხასიათის, სამესხეთო ღონისძიება გახლდათ, არამედ იგი საქართველოს მთლიან სალიტერატურო ცხოვრებას ასახავდა და თანამედროვე პოეზიის საკმაოდ საინტერესო გამოძახილს წარმოადგენდა.

ამ კონკურსმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მესხეთი და, კერძოდ, „შოთაობის“ ლიტერატურული კონკურსი კვლავაც ღირსეულად დგას ლიტერატურული ცხოვრების სადარაჯოზე და აქ ლექსებს, როგორც ძველ, მამაპაპისეულ ხანჯალს, დიდი სიფრთხილით უსინჯავენ ფხას და პოეტური სიტყვის ელვარებისთვის კვლავაც დიდი მონდომებით ზრუნავენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრადიციული ლიტერატურული კონკურსების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ და კონკურსის დაფინანსებაში დახმარებას უწევენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია (როსტომ მაგრაქველიძე), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მაკა ბერიძე), კერძო პირი ელდარ ალიევი, თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტი (დიმიტრი კორძაია), ბიზნესმენი ემზარ ასპანიძე.

გოგიტა მელიქიძე

ეკა ქაჯაია

ფრინველის ბედი

ფოტო ბადრი ვადაჭკორიასი

არის ძალა თუ
სხვა, უსაშველო
(კვლავ ბედის წიგნის
დგახარ სარჩევთან),
მონადირესა და ფრინველს
შორის,
მაინც ფრინველად ირჩევ
დარჩენას.
მომართულ ისრებს,
მჭრელს და გესლიანს
იცილებ, წამლობ
კვლავ მშვიდ დროებას
და თავს ირწმუნებ,
კი არ გესვრის და
გესალმება ან
გემშვიდობება...
სიპია გული კათაკმეველის
ვერ მოიკიდებს ფეხს
მეოხება,
რას გარგებს ცოდნა,
რომ თვითმკვლელივით
წინასწარ იცი,
ხვალ რაც მოხდება.
არ აგშორდება სასმისი,
ვისგან –
მოსწყდები ისარს
ბოლო კადრილით,
თუმცა გაჭრილი სამარეც
ციდან
მშვენიერია ღია კარივით...
გამოხსნილია მისივე ხელით
მისულხარ ვისთან,
წამლად და შვებად;
მალავ იარებს,
ცეკვავ დაჭრილიც,
რომ ფრენას ჰგავდეს
ციდან დაშვება.
დამარხავ თვალებს
უსაყვედუროდ,
გულს გაუტეხელს
წინაშე რისხვის,
გულის კი არა,
რომ სიძულვილო
ვერ გახდი ჩემი სტრიქონის
ღირსიც.

ლიტერატურულ კონკურსში

მაია მინდელი-ბენაშვილი

მშვიდობა, ღმერთო!

გაუფრთხილებლად მოვედი შენთან,
იქნებ, მიმიღო გარეშე რიგის.
ადვილიაო მოხვედრა ღმერთთან,
თუ კაცი თავის სურვილით მიდის.
ალბათ მიცანი, მშვიდობა, ღმერთო!
ეს მე ვარ – შენი ჩრდილის მდევარი,
მოვედი – ლოცვადავიწყებული,
მოვედი – მხდალი და უმეცარი.
დიდი ხნის წინათ, წერილებს გწერდი
და იმ წერილებს ლექსები ერქვა,
არ მოგიტანა ალბათ არცერთი –
ანგელოზად რომ მუშაობს შენთან.
არაფერსა გთხოვ, შენთან მამყოფე
ცოტა ხნით, შენი სუნთქვა მასმინე,
სხვისას რას ვერჩი? – ჩემს მქლე ცოდვებზე
ნასერი ფეხი დამაბანინე.
აღარ მაშინებს მე მარტო ცურვა
და მოთმინების ტივტივებს გავცდი,
თუმცა, რას გიხსნი, ვინ იცის უკეთ
მარტოობის და ტკივილის ფასი?!
ბევრ ქარიშხალში ამევსო თვალი
მტვრითა და ცრემლით, მაგრამ ვერ ვხვდები,
ჩემი ცოდვებით დანაყრებული
მშიერი რატომ დავეხეტები?
იცოდი, ხუთი პურის ამბავმა
როგორ დამტოვა თითქმის უპუროდ?
მინდოდა მეთქვა, მაგრამ აჯობებს
ქარს ვუსმინოთ და ღრუბლებს ვუყუროთ.
და ორი თევზიც, ის ორი თევზი
კაციჭამია ზვიგენად იქცა,
არ გაჭრა ლოცვამ, არც ზენაარით
დანატოვარმა მართალმა სიტყვამ.
ასეა, როცა ქიმერებს ებრძვის,
ყველაზე მთავარს ივიწყებს კაცი
და უნებურად სულ იმეორებს
უხსოვარ სასჯელს და ცოდვას ჯვარცმის.
ოღონდ მითხარი, რომ დაღლილ სულის
შენდობას მაინც არ გასდის ვადა...
ასე, უსიტყვოდ ვისხდეთ ცოტა ხნით,
მერე ავდგები და ისევ წავალ
ჩემს უდაბნოში... იქ ვის ვუამბო
რაც მაწუხებს და იქნებ შენ გითხრა.
ალბათ, გეტყოდა, ჩემს ვადაგასულ
ცოდვებს დედაშენს რომ ვუთვლი მისხლად.
ეშმაკმა უწყის! – და შენ არ იცი,
რას ვითხოვ ახლა ჩემი თავისგან?!
ნუ მაპატიებ, რომ შენს ძებნაში
სულ ყველა ლოცვა გადამავიწყდა.
წავალ, მადლობა, რომ მომისმინე,
დუმილისათვის დიდი მადლობა
და გავაჩუმებ ფიქრის ჭრიჭინებს,
სანამ მთიები ცაზე ამოვა.
მშვიდობით, უკვე მალე ამოვა
ვარსკვლავი, ყოვლის მანათობელი.
წასვლამდე, ფეხებს დაგბან მაცხოვარს,
ოღონდ მითხარი – რისთვის მოვედი?!

ჩაიცვი, ევა!

ჩაიცვი, ევა! მაგ სიშიშვლემ ფასი დაკარგა...
რამე ჩაიცვი – ლეღვის ფოთლის მაგვარი თუნდაც.
ჩაიცვი, სანამ თეთრი გველი ალაპარაკდა,
სანამ სამოთხის შესართავზე რაიმე უთქვამს.
გამოატყავე გველი კანიდან და მისი ქერცლი
შემოიხვიე ტანზე წყებებად.
სამყაროს ჭიპო, დაიფარე შიშველი მკერდი,
ხორბლის კერტები, უცოდველი საშო,
ვნებები...
ბაღში ყველა ხე გამხმარია, მხოლოდ
ბროწეულს
შერჩა სინორჩე, პირგადამსკდარს, წვნიან
მარცვლებში,
ბროწეულები მიიფარე და შეიხორცე,
სანამდე ავხორცს დაგიძახებენ.
ჯერ ისევ სძინავს მოიისფრო ნარებში ადამს,
დაჰგორებია დაკბეჩილი, გულზე, ნაყოფი,

ღმერთს არ ახედო, ის შორსაა, შორიდან
გძრახავს,
დასჯერდი ამ ბაღს, ედემს იქით ჯერ არ
ნამყოფო.
ევა, ჩაიცვი! თუნდაც შენი თანამეცხედრის
შიშის ქათიბი, ფიქრის ძონძი – ცრემლის
სახოცი,
სანამ ადამი უცოდველი არის წელსქვევით
და არაფერი იცის შენზე, ურცხვო ავხორცო.
შემოიფარე აქნილ წელზე ღამის მანტია,
ენძელის ზონრით შეიკარი ნათალ ნიკაპთან,
ვიდრე მზის სხივი გამოგიჩენს ცოდვის
ნატყვიარს,
გათენებამდე მოიქსოვე ბზის ალიკაპი.
იქნებ სამყარო სხვანაირი გათენდეს, ევა,
თუ მოასწარი, შეიმოსე, თორემ თვალებში
თუკი ჩაგხედავს გამთენიის სულგრძელი
ღმერთი,
ამოგიცნობს და... ყველაფერს შენ
დაგაბრალებენ.
ჩაიცვი, ევა, სიყვარული ჩაიცვი, ევა!

სიყვარული

გული მქონდა ფერით იელის,
ურჩი და ამაყი წლების წინათ –
დამცხრილა ოცნების ტყვიებით,
საღვთო ბატკანივით შემიწირა.
ხან კედლებზე ვხატე ჩემი სისხლით,
ხან ლოდინის ქარით დავიფლითე,
თავი მომაყიდა მამასისხლად,
ვიყიდე და... ამით გავიყიდე.
ქვეყანა გაზაფხულს შეჰხაროდა,
მე რომ ყინულის ქვეშ ვიწექი,
მიმერეკებოდა ეშაფოტთან
სიმწრით დაკბენილი თითებით.
ღამე კუროსავით მომიწვინა,
დარდთან შერთული ვარ, ვქალღმერთობ.
დამბზარა და აღარ მომარჩინა,
ჩემი ნამსხვრევებით გაერთო.
ჩავურაზე ყველა ლექსის კარი,
მაინც სტროფებიდან იხედება,
მისი უხილავი გონგის ზარი
თვალში ცრემლის სვეტზე ირეკება.
მოსთქვამს და ქვითინებს ჩემს ბალიშზე,
მერე უცოდველად ნაბავს თვალებს,
გულის საბელიდან თუ ავუშვებ,
მომდევს და ლექსებით მომღავლავებს.

წაწალის მკვლელი

არ გვქონდა წყალი და არც საგზალი,
როგორც ზღაპრულ დევს – გამოგეპარეთ,
მინდვრებს კბილებში ივლებდა ქარი,
დევნის დღე იყო – უკვე მესამე.
ლელიანებში, სუროს ტოტებში,
ჩვენს კვალს და სავალს ღელვით ამცდარმა
მესამე ღამე მთვარეს შეჰბღავლე,
დაგვწყევლე მე და ჩემი წაწალი.
ღამე იკრავდა მთვარის წვივსაკრავს,
როცა ხევიდან წამოგვეწიე,
შიში აბუქდა, მერე მინამქრდა
და წამოგვადგა თავზე ხევშივე.
წუთს, ნეტარების, ამბორს ვართმევდით,
სიყვარულს ღივი ამოეყანა,
თავს წაგვადექი, შენი ქალამნის
წვერზე შემოდგა მთელი ქვეყანა.
ჩემს ალერსს ჯერაც ტანზე იშრობდა
გახელებული, ნდომით, წაწალი,
როცა ააჭერ მკერდის ღიობთან
ჩემი ღალატის ამონათალი.
ქარმა ათრია წვიმის მანდილი,
იდექი სველი – წვიმით ტკივილის
და სიყვარული – ნამუსახდილი,
მკლავებზე გეწვა მკვდარი ჩვილივით.
თმებმა თავისით მოძებნეს მკერდი
სუნთქვაწაგვრილი ჩემი წაწალის.
და იმის მერე, ჩემი მანდილით
მხრებჩამომდნარი დღემდე წანწალებ.
შეჰყმუი ხევებს უჩემობისა,
მზეს ჩემი მზერის ხსოვნით იჩრდილავ,
მე კი, დაგკარგეთ შენც და წაწალიც,
უვადო ტანჯვით სასომიხდილმა.
დღემდე ახსოვხარ იმ გზებს, იმ მინდვრებს,
სევდის მდევარი, ნაღალატევი.
ვერ დაგივიწყე... ვერ დავივიწყე,
ჩემი წაწალის მკვლელის სახელი.

***

თმენა, ძაძები, ბნელი კელია...
წლებს ღრღნიან ხსოვნის ავი აფთრები,
ფიქრები თავშექცევით წვებიან,
უვადო ტანჯვის ამონამქრებით.
მარხვის დუმილით და ხორცის წირვით
ჩაბნელებული დამაქვს თვალები.
და ყოველ ღამე ჩემს სასჯელს ვიხდი
ცისკრის ლოცვით და ერთი სანთელით.

თინათინ მაღლაკელიძე

იქნებ ჯობია ვიყო ცის ნამი

მე სიყვარული ავუხსენი მთელ დედამიწას
მან ვერ გაიგო!? მინდა ხელახლა გავუმეორო:
„შენ დაიბადე არაფრისაგან“
და გაურკვეველ სივრცეში სრბოლით
დაქანცულმა შექმენ სამყარო
ერთი ძლიერი აფეთქებისგან
სად ცეცხლოვანი ხანძრის ალმურით
მზე გაიტყორცნა ორბიტაზე,
მთვარე კი თავის ვარსკვლავებით
მოკრძალებულად, როგორც მძივები
ჩამოეკიდნენ უძირო ცაზე...
მე მახსოვს შენი დაბადება არაფრისაგან...
ჩემი სხეული იკინძებოდა გატყორცნილ მტვრისგან,
რომელიც ფორმას ღებულობდა
ღვარცოფის სახით მოვარდნილ წყლისგან...
მე ვალი უნდა გადამეხადა ამ დაბადების,
ოცდაათი მილიონი წელია უკვე -
ვალს გიბრუნებ...გიგზავნი სხეულს,
რომ კვლავ მაქციო მტვრად და მიწად -
სიცარიელის შესავსებად, რისგანაც შემქმენ,
სულს კი ვუგზავნი უსასრულობას:
მზეს თავისა წილს, რომ გაათბოს დედამიწა...,
მთვარეს თავის წილს...რომ ვიოცნებოთ
კვლავ მოსვლისათვის...
არ გაგიკვირდეთ...მე გადავწყვიტე
კვლავ მოვიდე...
მხოლოდ არ ვიცი ვინ ვიქნები...
იქნებ ჯობია ვიყო ცის ნამი?
მარგალიტივით რომ ვეპკურო
მონატრებულ დედამიწას,
არ დაველოდო მზის ამოსვლას
და მალე გავქრე, რომ ვერ შემნიშნონ,
რადგან მეშინის იქ დაყოვნების,
სადაც სიყვარულს არ აქვს შეცნობა,
და ერთგულების არ იცის ფასი...
რა არს სიცოცხლე ღვთით ბოძებული?!.
სადაც ომობენ და შეუძლიათ მოკლან ბავშვებიც,
რომლებიც დიდებს ხელებს უწვდიან,
პატარა და უმწეო ხელებს
მათი სიცოცხლის გადასარჩენად
იქნებ ჯობია ვიყო ყვავილი,
სათნოების და მიტევების სურნელით სავსე,
რომლის შეხებაც ადამიანებს დაავიწყებს
შურსა და ბოღმას, რომელიც ჭარბად დააგროვეს
და არ უწყიან - მათი სიცოცხლე გაელვებაა წამიერი,
...და სამზადისი წარსადგენად უზენაესთან...
...და გზა სავალი ამიერში, საცდურით სავსე,
...განსაცდელებიც - მხოლოდ საშვია
საზვერეების გადასალახად,
რომლის იქითაც არს საზარი ჯოჯოხეთი,
ანდა სამოთხე საოცნებო,
სად ნაირფერი ყვავილით სავსე ველ-მინდვრები,
ნათლის შუქით გაბრწყინებულნი,
გეგებებიან გულთ ჩასაკრავად...

→

გამარჯვებულები

მზია სალვარიძე

იუსუფელის ჭალის ეკლესიის ფარსმანდუკები

როჲცხა სულში ფაცრით თევზაობას ვიწყებ,
მარა რამეს ვერ ვიჭერ,
ნამსხვანზე ცინცხალ დიყებს მაყრის...
...და,
თუკი შენ ზაფხულში თოვლის სინატრულით
კტები,
მოჲ და ფარსმანდუკი წამომკრიფე
წამწამებიდან ...
ფარას ჩამორჩენილ ცხვარივით
მიწაზე ჩამოვარდნილ ღრუბელს,
ეკლის ბუჩქებში რომ გაჩხერილა ფოშფოშად
და ფოშა ქალივით კაბა დაძენძვია
უბელო ცხენს გამოვაბამ
და ჭენებ-ჭენებაში ამოვუკემსავ უბეს.
ყველა თავისას ჯახირობს,
მე საკუთარ თავთან ჯახში ვბერდები.
მწირია ჩემი თვალსაწიერი
მწირი, მაგრამ ნაყოფიერი.
ჩემი წილი მიწა,
იმფერი პაწაჲა,
ჩემთათვინაი ნაკემსი ღრუბლის ფთილა
ყოფნის გადასახურად...
ჩემი დასაპურებელი მაგიდა,
იმფერი ვიწროა,
ორი წყთა ყაისნაღის სუფრა ფარავს,
ჩემი სარეცელიც თოხის ტარის ტოლაა,
მარა ორს რომ გვიმცრევს, იმხელა
და თან იმფერი მოსახერხებელი,
ტარზე კი არა,
ტახტრევანზე წამოწოლილებივით ვანთხევთ
სიყვარულით გალაყულ ტვინებს...
ხოდა, შენ,
მარტვაჲ ფერად სამყაროზე ჭიპმიჭრილო,
ხოდა შენ,
მარტვაჲ გაშლილ ველზე მოფარფატევ,
ხოდა, შენ,
მარტვაჲ ბარის ტაძრის მომლოცველო,
მაცალე ჩემი მოყინული ჭალების ლღვობა,
მადროვე ხევებს შეფარებული ხიზნობა,
შემარგე ჩქერალებში ფირალად გავარდნილი
კალმახობა,
რომ ღმერთთან კალმასობა შევძლო...
რომ ღმერთს ჩემებურაჲ გევეხუმრო,
რომ ღმერთს სიტყვა შევაპარო ულმერთობაზე
და ვუთხრა,
რომ ამდენი ყვავილის მომლოგინებელი,
მაინც ყურძნის ლერწივით დასხირეკულ
ხასიათს ვავლენ და
ჩემი კარის სალოცავის ნაცვლად,
იუსუფლის ჭალის ეკლესიის ყვავილებისკენ
მიმიწევს გული ...
და თუ უფალი უფლებას მომცემს,
ადრე თუ ავდიოდი,
ახლა ზეჲდან ჩევალ
და პირობას ვდებ,
მარტვაჲ ფარსმანდუკებს ამევტან იქიდან,
და თუ, ჰადმენ მაინც დარჩა მისი ნება,
ანგელოზები დუუკრავენ დუდუკს,
წყალში ჩაძირული წინასწარმეტყველი
აафახუნებს თვალებს
და მე,
ჯავრისგან გამოხრულ და გამომოჭვირულ
გულზე დაკიდებულ ჯვარზე
დევფიცებ,
რომ ჰანამდეც არნა ამეჲვსოს წყალი,
ჭალის ეკლესიის ეზოჲდან ცაში გადარგული
ფარსმანდუკები რომ დეჲწყებენ თოვას,
საშობაოდ უფალი მოვა
და იუსუფელს აღდგომამდე
ეჲტანს ცაში –
მკვდრეთით აღადგენს !.

***

დღეს უნდა გისიზმრო,
უნდა ჩაგიღრმავდე.
შენს სახელს დავწერ
და კარგად ნამზეური ბალიშის ქვეშ შემოვდებ.
იმედია, დამესიზმრები...

წესით, ვისზეც არ ვფიქრობ, არც მესიზმრება.
წესით, ყველაზე არც ვფიქრობ,
მაგრამ ზოგჯერ ისეთი უწესოები
აღმოცენდებიან
ჩემს სიზმრისეულ წარმოსახვებში,
რომ მიკვირს,
რომელი წესის,
რიგის თუ კანონის მეშვეობით
შემოაღწიეს ჩემს ქვეცნობიერში...
დღეს უნდა გისიზმრო,
დიახ, გისიზმრო.
ეგლა მაკლია, თავად დამესიზმრო.
ამიტომაც შენთან დაკავშირებული ყველა
მოგონება
უნდა ამოვქექო მეხსიერებიდან
და მყესებს შორის
ობობას მიერ გაბმულ ქსელებში გაგაშუქო
ნეგატივივით,
რომ რამე,
ვენებიდან თრომბის ტივადაც გამოგაცურებ,
იმედია, გამოგიტან
ან დაგშლი.
რადგან ის არ ხარ,
ვის გამოც სიკვდილი მიღირს...
დიდი, დიდი,
გისიზმრო,
ისიც იმიტომ,
რომ სიზმრის დამჭერი მაქვს დასატესტი.
და თუ ისიც უვარგისი გამოდგა,
როგორც უწინდელი,
და თუ მართლა მესიზმრე და დამსტრესე,
მაშინ მყისიერ დავიწყებ ყველა მყესს,
მყისიერ დავიცლი ყველა ვენას
და
სიზმრის დამჭერზე ბუმბულივით
დავეკიდები...

***

იმედია, არ ფიქრობ, რომ თავს მოვიკლავ,
არამც და არამც!
პრობლემების ფეხებზე დაკიდების ჩემეული ხერხები
მაქვს
და სისხლსაც მისხალ-მისხალ ვიღდგენ.
უბრალოდ უნდა ვიქანაო...
ჩემს აბურდულ თმებში
უფრო ადვილად გაატარებ თითებს,
ვიდრე ტარტაროზს გამოდევნი ჩემი სულიდან.
ნუ ეძებ ჩემში წარწყმედილ მგოსანს,
ნუ მმოსავ დაფნით,
ნურც მაჩეჩებ ხელებში სკიპტრას,
რაც უნდა გეთქვა სააქაოს კარნავალებზე,
საიქიოს ბალებზე ითქვა...
ახლა ვერაფერს გამომაპარებ!
ნულარ მოცდები საუბრით ღმერთზე,
ეზოთერიკაც დაივიწყე,
სად შენ და სად რეალობის განსაკუთრებული
აღქმის უნარი?
შენ ახლა უნდა იცოხნიდე,
ძოვდე ცხვარივით
და მე ვალივით გაბრუნებდე,
ანაც რვალივით განდობდე რომ
არა სარეკელ ზართა,
არამედ ეჟვანთა ჩამოსხმა შევძლო,
რომ სათითაოდ დაგკიდოთ შენ და შენნაირებს,
ანუ ერთი სიტყვით ყველას,
ვისი შველაც დაგვიანდა და პირუტყვებად
იქეცით.
იქნებ, ღმერთმა ასე მაინც გაგიგონოთ
და გიხსნათ საკუთარი თავებისგან,
რომ მე,
ჩემი აბურდული თმებით,
აწეწილი ნერვებითა და
ტანზე მოხვეული მიტკლით სამოთხის გზას
გაყოლილმა,
ეს მიტკლის სამოსი,
მტკაველ-მტკაველ ჩიტებით მოვიხატო,
ყვავილებად ავისურნელო,
ხორშაკად შევიხურო,
ტვირთად ვათრიო,
რომ სამოთხის კართან მისულმა,
როცა ნატვრის ხეზე გამოსაბმელად
ტანისამოსის ფხრეწას დავიწყებ,
მოშიშვლებულ სულში შეყუჟული
არა უფლის ჩიტი,
არამედ ტარტაროზი გადავარჩინო
და უფლის ფეხებთან მორთხმით მყოფმა,
ჩემი ცოდვების მიტევება ვითხოვო...
რადგანაც დარწმუნებული ვარ,
მხოლოდ ის გაუგებს
ჩემი ეკლების სიგლუვესა და ბამბების
ჩხრიალს...
მხოლოდ ის თუ მიიღებს ლოცვად ჩემს ხავილს
და მე,
არა ხვალისთვის გადადებულ,
არამედ დღეს მისახედ საქმესავით მომხედავს
და თქვენს დარად არასდროს მოიმიზეზებს
უქმეს...

შორეული მარადისობა ამიერიდან დანახული,
უკვე ახლოა იმიერის სამოთხესთან....
არჩევანი ჩვენზეა მხოლოდ, როგორ ვიცხოვრებთ...
იქნებ სჯობია ვიქცე დემონად,
რომელიც რისხვად მოევლინება თვით ბოროტებას
და სიკეთეს აუნთებს ფარანს მსგავსად ბრძენი დიოგენისა,
რომ ვიპოვოთ ადამიანი...
მაგრამ თუ იგი, ასე კარდაკარ საძიებელი
ძალზე ძნელი საპოვნელია
რა დამრჩენია დედამიწაზე?
იქნებ ჯობია პოეტი სულის ქალბატონივით
შევთხოვო უფალს:
„გააჩერეთ დედამიწა, მინდა ჩავიდე“...
სიყვარული კი, რომელსაც ვეძებ მთელი სიცოცხლე
უხვად ვარიგე და მივიღე მხოლოდ სიცრუე,
რომლის ნიღაბში დამალულა მთელი სამყარო...
ისევ ცის ნამად მირჩევნია გარდავისახო,
ალიონზე, მზის ამოსვლამდე,
სუფთა, კამკამა მარგალიტებად
გადავეფრქვევი მთელ სამყაროს,
დავუნამავ ქვად ქცეულ გულს და შემდეგ უჩუმრად,
რომ ვერ შემნიშნონ, ავიკრიფო დედამიწიდან...
მე დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები
უფლის ნებით სიკვდილის შემდეგ,
შენ დამელოდე, რომ კვლავ შეგხვდე
და მოვალ ისევ სიყვარულად,
წრფელი, უბიწო, მაგრამ ძლიერი,
ქედჩაუხრელი, ქალურად სუსტი, ძუს სიმტკიცით,
მორჩილიც და მედგრად მებრძოლიც,
ავი ზრახვანის გამომცნობის შევიძენ უნარს,
გულუბრყვილობის ვარდისფერ ფიქრებს მოვათავსებ,
გარდასულ დროთა ყულაბაში
და გეშინოდეს ბოროტებავ...
დავბრუნდები, რომ აღვადგინო, მხოლოდ სიკეთე...
და სიცრუის დავგლიჯო ბადე,
რომ შეთხზული იდეისათვის შიშისაგან
არ კვდებოდნენ ტერორისტებიც,
რომელშიდაც გახვეულია მთელი სამყარო...
დაგიბრუნდები, რომ სათნოება დავამკვიდრო -
კვლავ სიყვარულად,
რომ მონატრების გვწვავდეს სიწრფელე...
და სიცოცხლის ბედნიერებით დავტკბეთ
ბოლომდე.....
მე შენ მიყვარხარ, ძალზე მიყვარხარ
ულამაზესო, ჭრელა-ჭრულა,
ალაგ მდუღარევ, ალაგ ცივო
უმდიდრესო..., მაინც ღატაკო...
მოტარტმანევ გალაქტიკაში,
დაუცველო... მუჭისხელა დედამიწავ,
მაგრამ ჩემთვის თავშესაფარო...
სამშობლოვ, ციცქნავ - უძვირფასესო საქართველოვ...
ჩემო ედემო...
უკიდეგანო ჩემო სამყაროვ ...
სხივჩაუქრობო,
მოკიაფევ...
მიმზიდველო...
სულზე უტკბესო...
სხვებისთვის სატრფოვ,
ჩემთვის ტკბილო დედინაცვალო...

ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულები

ციური ასპანიძე-მესხიშვილი

დ ი ლ ა რ გ ე[1]

(სატრფიალო სალაღობო)

შენა ხარ ჩემი საუნჯე!
აბა, როგორ არ დავმუნჯდე?
ისე მიყვარხარ, თმოგველო!-
მსურს გულში შემოგივარდე!..
საღამო, მკრთალი სინათლე,
შენი თვალების სიმართლე,
წუხელ შემოძვრა სარკმელში
და მომიტანა ,,დილარგე"...
მთვარე, პატარა ნამგალა,
იმხელა ქალი გამხდარა,
მზის ეშხით დამუნჯებული
გულზე იკიდებს მზის ნამგლებს.
ციხეზე მდგარო, ებგურო,
ლურჯას ფაფარზე შებმულო,
ვიდრე გნახავდი, სიზმარში,
იცი? – მიყვარდი მინამდე...
იმ შენი ლურჯას სიმარდეც
(ესაა ჩემი სიმართლე),
ისე მიყვარდა, ლომგულო,
კლდის თავზე თავი მივანდე!
შენა ხარ ჩემი მეფუნჯე
და მიტომ მჩუქნის მზე – ფუნჯებს,
რომ შენი ლურჯას ფაფარით
ზეცა შევღებო ცისკრამდე!
მესხების გმირო, თმოგველო!
ტანს ჟრუანტელის მომგვრელო,
მტერს რომ არ დამონებოდი,
ციხეს გადევლე ძირამდე...
როგორ არ გამკვირვებოდა,
როცა თვით მტერი კვირობდა,
ღირსეულს - ხოტბას გასხამდნენ,
გიქებდნენ ვაჟკაცს- სიმარდეს!..
მეც თავს დაგიხრი მიწამდე,
დე! დამეყაროს მიწა მე!
გადმომაფრინოს, უფალმა,
იმ საუკუნის- იმ წლამდე:
ქაჯთა ციხე რომ დალაშქრე,
ჯარი რომ გყავდა სალაშქრე
და ნიშნად გამარჯვებისა
მტრედი აფრინე იშხნამდე.
მეც, იმ წამიდან გინამე,
ტრფობისგან გადავიწამლე,
არც რა წამალი არ მშველის, –
შენი კოცნა თუ მიწამლებს...
შენა ხარ ჩემი მეფუნჯე!
მითხარი, რატომ მემუნჯე?!..
გაცოცხლდი ისევ ჩემს გულში
იმთვარ-იმზევ და ივარდე!..
ამირჩქარს, ძალა ვატანე,
სპასპეტებს გამოვატანე,...
ჩემ თმით შეკრული წერილი,
შენთან იქნება კვირამდე...
შენა ხარ ჩემი კვირიკე,
ციხე ნალესი კირითა,
ამაღამ შემომირიგე
და ერთად დავრჩეთ დილამდე!..
თაყვანს, მეც ვცემდი მზის კერპებს
და ლურჯა გამოგიკერპე,
თმოგვის ციხესთან დავაბი,
სხვა ვერაფერში ვივარგე...
ჰო, ჩაგისაფრდი მინდორთან,
მიჯნურობა რომ მინდოდა...
მაინც ვერაფერს ვერ გავხდი
და ამის გამო ვიდარდე!..
სხვა გზა მასწავლეს მერცხლებმა,
რომ გითხრა, მერე შემრცხვება,
შენს სასთუმალთან ლარნაკში
უჭკნობ ვარდივით ვივარდებ!..
მთვარე რომ შეივერცხლება,
ფეხქვეშ დაგიგებ ვერცხლებად
და გულის კარებს შენამდე,
მერე, ადვილად მივაგნებ!..
მზითევში მომყავს პეპელა,
ჭიამაია ჩემხელა,
სულ ჭრელა-ჭრელა სკივრებით,
ქარი გვაჩუქებს მზის ფარდებს.
ცაზე გამოჩნდნენ მაყრები,
ანგელოზები – საყდრებით,
საკურთხეველთან თმოგველო,
მინდა რომ შენ მიმიყვანდე!..
დაგელოდები დილამდე,
ჰო! ისევ ისე, ფრთხილად მე,
შენ, ციხეს, კიბე მოადგი,
ფრთხილად! – არ ჩამომივარდე!..
გამოიღვიძე, ძვირფასო!
აბა, შენსავით, ვინ ფასობს?
შენ რომ ვარდები მომართვი,
მთელი ღამე და დილა ვრგე...
შეხედე, ცაზე მზე ცხვება,
ჰოდა, მეც, აღარ შემრცხვება,
სამარადჟამოდ თმოგველო,
ნება მომეცი მიყვარდე!!!..

ჩემ ტაოში, ეფენდი!

მე იმ ციხის ნატეხი ვარ,
შენ რომ ჩოხას შეფენდი,
ციხეს მაშინ წავტეხივარ,
რომ დაუჭრეს მზეს ფერდი...
ჰო! იმ კლდიდან გამომთალეს,
მტკვარს რომ გადაჰყურებდა,
წითელი და ლურჯი მთვარე,
გორაობდა სურებთან...
ხარირემი ბალხს ძოვდა
და ლაღობდა ფურებთან,
ჩოხოსანი არწივები
ისხდნენ სათოფურებთან!
რა ლამაზი ციხე გვქონდა,
გახსოვს, მთაში, თავალა,
მეფემაც რომ დაუჩოქა
ცხენით ამომავალმა?
რომ არა ეს ჩვენი ციხე,
როგორ შეგიყვარებდი?!
ამ ციხეში დაიწერა
სახარების კარედი!
გარეთ ქარი წკავწკავებდა,
წვიმა წერდა ბწკარედებს,
დაკარგული სახარება
მახსენდება მწარედ დღეს...
ვერაფრით ვერ დავივიწყე,
შენი ჩოხის სურნელი,
ის წუთები და წამები,
უკვე გარდასულები...
სიზმრად ვხედავ მწვანე მდელოს,
თავზე ადგას შავი მთა
და მე ისევ გეპრანჭები
შატბერდული შალითა...
შარა- შუკა ვშარი-ვშურობთ,
პირზე მკოცნის შავი თმა...
უჰ! რა უცებ შემოხსენი
ბროლის კოშკებს შალითა?!..
ჰო, რა უცებ დაიპყარი
გორები და ბორცვები,
პირში, ჩიტივით გეჭირა
კერტიანი მოცვები...
ჩვენმა ციხემ, უმალ, გვიცნო,
დაგვკინის და ქილიკობს,
რად უთხარი, რაც რომ მოხდა
ჭორიკანა ბილიკო?!..
იქნებ, ცოდვით დამეკარგა
შატბერდი თუ შეტბერდი?
რად წამართვი ჩემი ციხე,
რას მერჩოდი, ეფენდი?!..

[1] დილარგე - სარგის თმოგველი და მისი დილარიანი. ,,დილარგე-სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“ ...

უჯნის სიმაუე

ამირან ჯმუხაძე

– რა დიდებული მეზობელი გყავს, მაგას ვენაცვალე. მის ნამოქმედარში ყოველთვის კაცობა და ადამიანობა ჩანს. ეგ დალოცვილი, დახვეწილი, გემოვნებიანი, თან ინტელიგენტია. – წარმოთქვა გიამ და თავის ახლო მეგობარს, ვანოს გადახედა.

– აბა, ბიჭო, ნაღდად ასეა! ჩვენი უბნის კოლორიტია, რაც არ უნდა ხდებოდეს ჩვენს ეზოში, კარგი იქნება, თუ ცუდი, ყველაფერს აწესრიგებს. ყველას დეტალურად გამოჰკითხავს თუ რა უჭირთ. მოკლედ, ყველას მამა-შვილურად ექცევა, და შეძლებისდაგვარად აგვარებს კიდეც. ნაღდი ქალაქელია, თანაც, უბანიც რა პატივს სცემს. – უპასუხა ვანომ და კმაყოფილი სახით გიას გახედა.

მათ საუბარს იქვე მდგომი ნიკოც შეესწრო. ის ახალგაზრდა და ცოლშვილიანი კაცია. სამი თვეა, რაც ახალ უბანში გადმოვიდა და ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს მეზობლებს. ამიტომაც ცდილობს, ნელ-ნელა ყველას დაუახლოვდეს. არადა, თავისდაუნებურად, ვანოს და გიოს საუბარმა ნიკოს ცნობისმოყვარეობა აღუძრა. თან, მთელი ცხოვრების განმავლობაში აინტერესებდა საზოგადოების ნებისმიერ სფეროში, ასე ვთქვათ, კერპთაყვანისმცემელი ადამიანების ფილოსოფია. მისი აზრით, ისინი მხოლოდ ცალმხრივად აზროვნებენ. ამიტომ, ყველაფერზე უფრო, დაინტერესდა ზურას ვინაობით. მაგრამ, სამწუხაროდ, მას ვერასდროს შეხვდა. მოკლედ, ძალიან უნდოდა ამ პიროვნების გაცნობა. მაგრამ გადიოდა დრო, დღე-დღეს მისდევდა, მაგრამ გაცნობის სურვილი, სურვილად რჩებოდა...

ნიკომ მეორე დღეს გადაწყვიტა, სამსახურიდან ცოტა ადრე წამოსულიყო, რომ ზურას სადმე შეხვედროდა. ასეც მოიქცა. როცა კორპუს მიუახლოვდა, კვლავ გიას და ვანოს შეხვდა, რომლებიც განმარტოებით იყვნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ნიკო მათ მიუახლოვდა, მიესალმა და ჩაერთო საუბარში. ასე კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოსს გიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

– ზურამ დღესაც რა მაგარი საქმე გააკეთა, იცი? – და ვანოს გამომწვევად მიაჩერდა.

– მაინც რა ქნა, რა ჩაიდინა ასეთი? – ხომ იცი, რომ დღეს ნათესავებთან ვიყავი და ახლა მოვედი – დაინტერესდა ვანო.

– ხოდა, გეტყვი. ჩვენი მეზობელი რომ არის, ნინო, შენც კარგად იცი, რა საყვარელი გოგოა, სიცოცხლეა! მაგრამ ისიც კარგად იცი, მათ ოჯახს როგორ უჭირს. მამა ერთი წლის წინ გარდაეცვალა. ნინო რომ დაინახა, მაშინვე მასთან მივიდა, ყველაფერი გამოკითხა, დაპირდა, რომ მათ ოჯახს დაეხმარებოდა. ახლა შენ გეკითხები, ძმაო – ამ დროში, ამას ვინ გააკეთებს? ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. სხვისი ჭირი და უბედურება ვიღას აინტერესებს?! აი, ჩემო ვანო, ხომ ხედავ, რა კაცია, მაგას ვენაცვალე! მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამ ადამიანით სულ უფრო ვიხიბლები.– წარმოთქვა გიამ, თავი მოაბრუნა და ნიკოს წყნარი ტონით მიმართა:

– აბა, ჩემო ნიკო, შენს ყოფილ უბანში, სადაც მარტო ყავა და ფოიფოებია მოდაში, ასეთი ადამიანები გყავდათ?!

ამის გაგონებაზე ნიკო ცოტა შეცბა და უკმაყოფილო გამომეტყველებით გახედა გიას.

ნიკოს გამოხედვით გია მიხვდა, რომ მისი საქციელი არ იყო სწორი, ამიტომ ის ნიკოს მიუახლოვდა, მხარზე დაადო ხელი და წყნარად მიმართა:

– ნიკო, არ გეწყინოს, უბრალოდ, ძალიან მიხარია, რომ კიდევ არსებობენ ვაჟკაცი და კეთილი ადამიანები და ეს გარემოება კი, გულს მიყუჩებს. რაღაც საოცარ გრძნობაზე მაყენებს. ცხოვრების ხალისს მაძლევს, თანაც ვხვდები, რაც არ უნდა გიჭირდეს და უკმაყოფილო იყო ამ ცხოვრებით, ხელი ნაადრევად მაინც არ უნდა ჩაიქნიო!

ამის წარმოთქმის მერე, ცოტა ხანს, ხმა არცერთს არ ამოუღია.

ბოლოს, სიჩუმე ისევ ნიკომ დაარღვია:

– არა, გია! შენ რაც მითხარი, ამაში საწყენი არაფერია. უბრალოდ, ძალიან მინდა, რომ თქვენი ქებული კაცი გავიცნო. მაგრამ, რა გინდა, ვერაფრით ვერ ვახერხებ ამას, ეტყობა ყველაფერში ბედი გინდა კაცს!

– ამაზე ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება, ვინც ეძებს, ის პოულობს, ასეა, ეს! – კმაყოფილი ტონით წარმოთქვა ვანომ და ნიკოს გამომწვევად მიაჩერდა.

ნიკომაც არ დააყოვნა და მაშინვე უპასუხა:

– ჩემთვის, დიდი პატივი იქნება მისი გაცნობა.

ქალაქში მშვენიერი ამინდი იდგა. ოქტომბერი ინურებოდა და ხეებიდან უკვე გაყვითლებული ფოთლები ცვიოდა და ძირს ხალიჩასავით ეფინებოდა.

ნიკოს უცებ გაახსენდა, რომ ბავშვებისთვის საჭმელი უნდა ეყიდა. ბიჭებს ბოდიში მოუხადა, დაემშვიდობა და მაღაზიისკენ გასწია. სიარულის დროს, მისდა გასაკვირად, კვლავ ზურაზე დაიწყო ფიქრი, უკვირდა და თანაც გაოცებული იყო იმით, თუ რა იყო იმ კაცში ასეთი საინტერესო, რაც უბნელ ბიჭებში ასეთ აღტაცებას ინვევდა. მაგრამ რატომღაც, გულის სიღრმეში, დარწმუნებული იყო, რომ არ არსებობდა ამქვეყნად ისეთი სრულყოფილი და, მითუმეტეს, უნაკლო თვისებებით გამორჩეული პიროვნება. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ნიკოს მისი რატომღაც შურდა. არადა, ასეთი ადამიანი თვითონ არ იყო. რაც თავი ახსოვს, ცხოვრებაში არავისი შეშურებია. მაგრამ ახლა, მის თავს რა ხდებოდა, ვერ გაერკვია. ამ ფიქრებში გართულმა, უკვე მიაღწია ,,სუპერმარკეტს“. მაღაზიის კარი გამოაღო, შიგნით შევიდა, იყიდა რაც საჭირო იყო და მაშინვე, სწრაფი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა. კორპუსთან კვლავ მეზობლები შეკრებილიყვნენ. ეტყობა, რაღაცაზე კამათობდნენ. ცოტა შეისვენა და მათ ლაპარაკს დაუგდო ყური. გაოცდა – ისინი კვლავ ზურაზე ლაპარაკობდნენ. მათთან აღარ გაჩერდა, გზა გააგრძელა და სახლში ავიდა. კარი ცოლმა გაუღო, ნავაჭრი სამზარეულოში შეიტანა და მაგიდაზე დააწყო. მალე, მეუღლეც შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. მან იგი გადაკოცნა, ცოტა ხანს ელაპარაკა. შემდეგ, თავის ოთახში შევიდა, ,,ლეპტოპი“ ჩართო, ჭადრაკის საიტი გახსნა, გადაწყვიტა ეთამაშა, რათა ეს აკვიატებული აზრები, ცოტა მაინც გაეფანტა. ცოტა ხანში, თამაშით გადაიღალა, თან ორივე პარტია წააგო და ხასიათიც გაუფუჭდა. ამიტომ, ,,ლეპტოპი“ გამორთო და საძინებელი ოთახისკენ გაემართა. ლოგინზე წამოწვა. მისდა გასაკვირვად, გონებაში კვლავ ზურას პიროვნება ამოტივტივდა. არადა, ადრე არასდროს აინტერესებდა, ვინ-ვინ იყო, ვის რა გატაცება ჰქონდა და, საერთოდ, ვინ როგორი ცხოვრებით იყო დაკავებული. ახლა კი, რა ემართებოდა ვერ ხვდებოდა. ცოტა ხანში ჩაეძინა კიდეც.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ეზოში კვლავ გია და ვანო დახვდა. ერთმანეთი მოიკითხეს, ბევრი ილაპარაკეს, ბოლოს კი, ვანომ ნიკოს დამცინავი ღიმილით მიმართა:

– რა დაბნეული ჩანხარ! რა გჭირს, ნიკო? კვლავ ვერ გაიცანი ზურა ხომ?

– ვერა! ალბათ, როდესღაც გავიცნობ. – წარმოთქვა ნიკომ და გაკვირვებული სახით შეხედა ვანოს.

– კარგი, ნიკო, გეხუმრები, არ გეწყინოს.

– არ მწყინს, საიდან მოიტანე?

– არა, ნიკო! გთხოვ მაპატიო. მაგრამ მაინც მგონია, რომ რატომღაც არ გიმართლებს. დღემდე ვერ გაიცანი ზურა?

– კარგი ერთი! - გაიკვირვა ნიკომ.

– აბა, ნუ მოიწყენ! არა უშავს, ზურას მალე გაიცნობ, მაგას ნუ განიცდი!

– ამაზე მეტი დარდი არ მომცეს ღმერთმა! – სიცილით უპასუხა ნიკომ.

ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, გია მოლბა, გაიღიმა და ნიკოს ბოდიში მოუხადა. მოტრიალდა და ვანოს გაუბა ლაპარაკი.

ამის შემყურე ნიკომ, ხელი ჩაიქნია და სადარბაზოსკენ გაემართა.

მეორე დღეს, როცა სამსახურიდან დაბრუნდა და ეზოს მიუახლოვდა. კვლავ განუყრელ მეგობრებს შეეფეთა. ნიკო როცა მიუახლოვდა გიას მან ირონიულად მიმართა:

– მაპატიეთ, დილით მოულოდნელად დაგტოვეთ და სათანადო ყურადღება ვერ მოგაგციეთ.

– არა უშავს, ნიკო. – დაბნეულმა უპასუხა გიამ და ვანოს გადახედა.

– ისე ბიჭებო, – განაგრძო ნიკომ, – სხვანაირად არ გამიგოთ და მართლა მინდა მისი გაცნობა. ერთსაც გეტყვით, მაგრამ არ ,,გაგიტყდეთ“ - მაგ თქვენ უბნის კოლორიტს სანამ არ შეეხვდები, ვერაფერს გეტყვით. ხომ იცით, ნათქვამია: „ყურით გაგონილს, თვალით ნანახი ჯობიაო, და მერე გეტყვით, ეს თქვენი ზურა კარგი ტიპია, თუ ცუდი.

ამის გაგონებაზე, ბიჭებმა წარბები შეკრეს და ნიკოს გაკვირვებით შეხედეს. ბოლოს, ვანომ თმაზე ხელი ჩამოისვა და ცოტა დაბნეულმა, დაბალი ხმით მიმართა:

– ჩვენი არ გჯერა, ,ხომ?

– არა, სხვანაირად გაიგეთ, თქვენი მჯერა, მაგრამ მე ყველაფერზე ჩემი აზრი მაქვს. ასეთი უცნაური ვარ, ბავშვობიდან ასეთი ხასიათი მაქვს, რას ვიზამთ!

– შეიძლება ასეც იყოს, – თქვა ვანომ და გაკვირვებული გამომეტყველებით მიაჩერდა ნიკოს.

ნიკომ არაფერი უპასუხა, შემოტრიალდა და სადარბაზოსკენ გაემართა.

გიამ და ვანომ ერთმანეთს გაოცებულებმა გადახედეს. ნიკო თავის ოთახში შევიდა, ტახტზე წამოწვა და კვლავ ფიქრებს მისცა თავი. გიას და ვანოს, საერთოდ, უბნელების გადამკიდეს, კიდევ უფრო გაუმძაფრდა ზურას გაცნობის სურვილი, რადგან ამ დროში, მის ქვეყანაში, სადაც უკვე ადამიანობა და კეთილშობილება დაივიწყეს, ასეთი დადებითი თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნებები, უკვე წარსულს ჩაბარდნენ.

მომდევნო დღეებშიც იგივე განმეორდა. გაცნობა ისევ ვერ მოხერხდა.

დილით, როდესაც ნიკო სამსახურში მიდიოდა, გია და ვანო სულ ღიმილით აცილებდნენ...

ერთ დღესაც, როგორც იქნა სურვილი აუსრულდა, ეზოში შეაბიჯა. ვანომ ნიკოს ხელის მოძრაობით მიანიშნა, აი, ზურა, ეს არისო; მას მაღალი შუბლი, ყავისფერი თმა და ნუშივით მოგრძო, მელანქოლიური თვალები ჰქონდა. უბნელებმა მის დანახვაზე თავი დახარეს და მიესალმნენ! ნიკოსთან ახლო მყოფმა ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა, მეორეს გადაულაპარაკა:

– შეხედე, ბიჭო, რა კარგი ტიპია! – მან ეს ძალიან ამაღლებული ტონით წარმოსთქვა. შემდეგ საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, მეორე ბიჭმაც დაუმოწმა, მას მხარზე ხელი შეახო და კვლავ ზურას გახედა. ნიკოს გია მიუახლოვდა და დაბალი ხმით მიმართა: – აი, ნიკო, ეხლა შენს თვალწინ სიმპათიურმა კაცმა რომ გაიარა, ის კაცია ზურა! ხოლო მისი პირადად გაცნობა უკვე ჩემზე იყოს!

ნიკამ უპასუხა: – შესახედაობა ბევრს არაფერს ნიშნავს, მე მისი განათლება და ერუდიცია მაინტერესებს!

– ძალიანაც კარგი, რაც მთავარია, მე ჩემს საქმეს გავაკეთებ, მას გაგაცნობ და შეფასებაც შენთვის მომინდია! – გამოსცდა გიას და ნიკოს მოშორდა.

ცოტა ხანში ნიკო უკვე თავის ოთახში, სავარძელში იჯდა, როცა ცოტა შეისვენა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. მეუღლე იქ დახვდა, მათ ცოტა ხანს ილაპარაკეს, შემდეგ, ჩაიც დალიეს, ნიკომ მერე ბავშვების ოთახს მიაშურა, მძინარ ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და საძინებელ ოთახში შევიდა.

მეორე დღეს, დილით, როდესაც წვერი გაიპარსა და სამსახურში წასასვლელად მოემზადა, ცოლმა უთხრა, რომ ნაგავი იყო გადასაყრელი, ნიკომაც ნაგვით სავსე ცელოფნის პარკს ხელი ჩაავლო, კარი გამოაღო, მეუღლეს დაემშვიდობა და გარეთ გავიდა. გარეთ მშვიდი ამინდი იდგა, ნიავიც კი არ იძვროდა. ნიკო იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც ნაგვის ბუნკერი იდგა. უცებ, მოპირდაპირე მხარეს, ზურა შენიშნა, რომელიც ასევე ბუნკერისკენ მიდიოდა მეგობართან ერთად და ხელების მოძრაობით რაღაცას უხსნიდა. ნიკომ პარკი ბუნკერში ჩააგდო, თან ზურას თვალს არ აშორებდა. ეგონა, რომ ზურა და მისი მეგობარი ბუნკერისკენ წამოვიდნენ, რადგან მის მეგობარსაც ცელოფნის პარკი ეჭირა ხელში. ზურამ უცებ ბოდიში მოიხადა, გაშორდა და ცენტრალურ გზას გაუყვა, ნიკო თვალს არ აცილებდა, მოულოდნელად ზურამ მოწეული სიგარეტი ასფალტზე დააგდო და ფეხით გასრისა, შემდეგ შარვლის უკანა ჯიბიდან რაღაც მოზრდილი ქაღალდი ამოიღო და ისიც ახლად დაგვილ და გასუფთავებულ ქუჩაში მოისროლა. შემდეგ გადააპურჭყა კიდეც და, ვითომ აქ არაფერი მომხდარიყოს, გზა განაგრძო. ამის შემხედვარე ნიკოს, მაშინვე ნირი ეცვალა, ცოტა ხანში ახირებულმა აზრმა გაუელვა თავში და მისდაუნებურად გაეცინა კიდეც...

იულიუს კეისრის ომები პომპეუსთან

ვახტანგ ინაური

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

კეისარმა კარგად იცოდა, რომ რომში პირველი კაცის სტატუსისათვის ბრძოლა პომპეუსთან მოუწევდა, რომელსაც ამ დროს კეისარზე მეტი მხედრობა ჰყავდა, ამასთან იგი სენატის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით სარგებლობდა და ჯარის შესანახად ყოველნლიურად ათას ტალანტს იღებდა სახელმწიფო ხაზინიდან. ფაქტობრივად, სენატი მხარს უჭერდა პომპეუსის ერთპიროვნულ დიქტატორად აღიარებას. იგი კეისრის მოთხოვნებს – პომპეუსთან ერთად თანაბარი უფლებებით ვადის გაგრძელებაზე უარს ეუბნება და მარცელუსისა და ლენტულუსის აქტიურობით ცდილობს შეურაცხყოს და დაამციროს იულიუსის ავტორიტეტი, რაც შიდა დაპირისპირებისა და სენატის მოთავეთა ტენდენციური პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული. მაგრამ კეისარი სარგებლობს გალიაში მოპოვებული სიმდიდრით. უხვად აძლევდა სიმდიდრეს მარცელუსის კონსულობის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას. პომპეუსმა თავის დაზღვევის მიზნით კეისარს „მოსთხოვა მოქმედებათათვის, არამედ იმისათვის, რომ თავი დაეცვა მტრების მხრიდან აბუჩად აგდებისაგან, რომ აღედგინა თავის ღირსებაში სახალხო ტრიბუნები, რომლებიც ულმერთოდ იქნენ მოქალაქეთა წრიდან განდევნილნი, რათა გაეთავისუფლებინა თავის თავიც და რომაელი ხალხიც ოლიგარქების ხროვის კირთებისაგან.

ცეზარი

უკან დაებრუნებინა ის მეომრები, რომლებიც გალიაში ომების საწარმოებლად დაუთმო (პლუტარქე, 504). იულიუსმა 250 ათასი ტალანტით დაასაჩუქრა თითოეული მეომარი და გაუგზავნა პომპეუსს.

ამ გზით პომპეუსმა დიპლომატიური უპირატესობა მოიპოვა. მოსყიდულმა მეომრებმა კეისრის მაკომპრომიტირებელი საუბრებით დააბნიეს პომპეუსი და მისი მომხრეები, რამაც პომპეუსი დაამშვიდა და მხედრობის მომზადებაზე აღარ ზრუნავდა. სენატი კი კეისარს სარდლობის ვადის გაგრძელების უფლებას არ აძლევდა. ამის პასუხად იულიუსის ცენტურიონმა, რომელიც სენატის შენობასთან იდგა, „მახვილის ტარს ხელი დაჰკრა და თქვა: მაშინ ეს მისცემსო“ (პლუტარქე, 501).

კეისრის შემდეგი მოთხოვნა სამართლიანი იყო: იგი გულისხმობდა, იარაღი დაეწყო, ოღონდ პომპეუსიც ასევე უნდა მოქცეულიყო. მერე ორივენი გაწეული ღვაწლისთვის დაეჯილდოებინათ, რადგან ამით „ერთს ვითომ ტირანიისკენ მისწრაფებისათვის დათრგუნავდნენ, მეორეს კი (პომპეუსს) უკვე ნამდვილ ტირანიად აქცევდნენ“ (პლუტარქე, 501). ამ წინადადებას ხალხი ტაშისცემით შეხვდა.

სენატმა ამ მოთხოვნის უარყოფით, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა კეისარს და შექმნა სამოქალაქო ომის პრეცენდენტი, ეს სციპიონისა და ლენტულუსის ტენდენციურმა ქმედებამ გამოიწვია და სენატორები შინაური განხეთქილების დაწყების ნიშნად სამგლოვიარო ტანსაცმლით შეიმოსნენ.

ყველა ისინი პომპეუსის მომხრე იყო, მათ განდევნეს ტრიბუნები: ანტონიუსი და კურიონი, რომლებიც მონის ტანსაცმელში გადაცმულნი დაქირავებული ეტლით გამოიქცნენ კეისართან.

დიდი სამოქალაქო ომი რომში უკვე რეალურ საფრთხედ იქცა. კეისარს სამასამდე მხედარი და ხუთი ათასი ქვეითი მეომარი ჰყავდა, დანარჩენი ლაშქარი ალპებს გადაღმა იყო. იულიუსმა სტრატეგიულად გათვალა, რომ პირველი იერიშის მიტანა იმდენად მრავალრიცხოვან ლაშქარს არ მოითხოვდა, რამდენადაც მამაცობასა და სწრაფ თავდასხმას.

თავის სარდლებს და ცენტურიორებს უბრძანა, მხოლოდ მახვილებით შეიარაღებულიყვნენ და დაღამებისას ცალ-ცალკე გაჰყოლოდნენ და აეღოთ იტალიის დიდი ქალაქი არიმინუმი ისე, რომ სისხლის დაღვრასა და აურზაურს მორიდებოდნენ. მდინარე რუბიკონის გადალახვამდე, ბუნებრივია, კიდევ აწონ-დაწონიდა თავის მიზანსწრაფვას, იფიქრა, იმსჯელა მეგობრებთან. იცოდა, რაოდენ დიდი უბედურების დასაწყისი იქნებოდა ყველასათვის ამ მდინარეზე გადასვლა, რომელიც რომის იტორიის მანძილზე არც ერთ სარდალს ჯარით არ გადაუკვეთია, მას ესმოდა, თუ როგორ შეაფასებდა ამ ამბავს მომავალი თაობები. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა ცნობილი ფრაზა: „წილი ნაყარია“ (alea jaeta est“).

გადავიდა მდინარეზე და 49 წლის 7 იანვარს დაიკავა ქალაქი არიმინუმი, რითიც დაიწყო დიდი სამოქალაქო ომი, რომელმაც რომის მთელი სამფლობელო მოიცვა. მას ჰქონდა მოტივაცია ასეთი მოქმედების. ის თვლიდა და აცხადებდა, რომ „პროვინცია გადმოლახა არა ბოროტ მოქმედებისთვის, არამედ იმისათვის, რომ ეხსნა ... ...

მეხეთის დედაქალაქისთვის

ვახტანგ გურული

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 7-8)

ოსმალთა ახალი შემოტევა ახალციხის დაკავების მიზნით

მართალია, გენერალ-მაიორმა ივან ბურცევმა აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის დამარცხება შეძლო, მაგრამ ოსმალები ამის შემდეგაც ცდილობდნენ ყარსისა და ახალციხის დასაბრუნებლად შეტევის დაწყებას. აუცილებელი იყო ორივე სტრატეგიული მიმართულების (ყარსისა და ახალციხისა) დაცვა, გარნიზონების გაძლიერება და რეზერვების შექმნა. ამ მიზნით ბურცევის ხერსონის გრენადერთა პოლკი კვლავ ახალციხესთან დადგა, რათა არტაანიდან ოსმალთა შემოტევას აღდგომოდა წინ. გენერალ-მაიორ ნიკიტა პანკრატიევის ყაბარდოს ქვეითთა პოლკს, სევასტოპოლის ქვეითთა პოლკსა და დონის კაზაკთა 2 პოლკთან ერთად ყარსი უნდა დაეცვა. ყარსის დასაცავად დამატებით გადაისროლეს ეგერთა 42-ე პოლკი და მე-40 და 41-ე პოლკების თითოროდის დრაგუნთა, თერგის კაზაკთა პოლკებით და ქვეითთა 2 ასეულით ახალქალაქიდან ყარსისაკენ გაემართა. პასკევიჩის ყარსში ჩასვლის შემდეგ ყარსის გარნიზონის რაოდენობა 8 ბატალიონამდე გაიზარდა, თუმცა ოსმალთა ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში გარნიზონი მაინც ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. პასკევიჩი ყარსში 1829 წლის 1 ივნისს ჩავიდა. 2 ივნისს გენერალ-მაიორი ნიკიტა პანკრატიევი ოსმალთა

ბატალიონი 12 საალყო და 8 მსუბუქი ზარბაზნით. რეზერვს შეადგენდა ახალციხეში განლაგებული გენერალ ნიკოლაი მურავიოვის კავკასიის გრენადერთა ბრიგადა 28 ზარბაზნით. კავკასიის კორპუსის მთელი კავალერია ორ ნაწილად გაიყო. მუსლიმთა 2 პოლკი, ულანთა და შავი ზღვის კაზაკთა პოლკები გენერალ პანკრატიევის განკარგულებაში გაიგზავნა, ხოლო ნიჟეგოროდის დრაგუნთა, თერგის კაზაკთა, დონის კაზაკთა და მუსლიმთა პოლკები გენერალ მურავიოვის სარეზერვო ჯარს შეუერთდა. თბილისში დარჩა მხოლოდ ყირიმის ქვეითთა პოლკი და მე-20 საარტილერიო ბრიგადის 2 ბატალიონი. თბილისში განლაგებული ჯარი არასაკმარისი იყო, პასკევიჩი იძულებული გახდა ქართლისა და საკუთრივ თბილისის დასაცავად ქართული მილიციის (სახალხო ლაშქრის) მობილიზაცია გამოეცხადებინა. გორის, დუშეთის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში 2.000 ქართველი ცხენოსანი შეიკრიბა. ქართული მილიცია ორ ნაწილად გაყვეს, ერთი ნაწილი ალაზნის ნაპირებზე განლაგდა, ხოლო მეორემ პოზიციები მტკვრის ხეობაში დაიკავა. 1829 წლის 16 მაისს კავკასიის მთავარსარდალი პასკევიჩი ახალქალაქში ჩავიდა. მას აცნობეს, რომ ოსმალთა ჯარი (15.000 მებრძოლი) კიაჰი ბეის მეთაურობით არტაანს უახლოვდებოდა. კავკასიის მთავარსარდალმა გენერალ მურავიოვის სარეზერვო ჯარის 1 კოლონა კიაჰი ბეის წინააღმდეგ დაძრა. მოწინააღმდეგე ბრძოლაში არ ჩაება და აჭარის ტერიტორიაზე დაიხია.

ოსმალთა დამარცხება მდინარე ფოცხოვზე

აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის დამარცხების მიუხედავად, ვითარება არტაანის რაიონში კვლავ დაძაბული იყო. ივან პასკევიჩის ბრძანებით ყარსიდან ეგერთა მე-40 პოლკის 1 ბატალიონი 4 ზარბაზნით არტაანში გადაიყვანეს. ეს ბატალიონი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა, როდესაც ნიკიტა პანკრატიევს აცნობეს: ოსმალთა დიდი ძალები Oსმან ფაშას სარდლობით ყარსის მიმართულებით აპირებდა შეტევას, ხოლო კიაჰი ბეი ახალციხეზე სალაშქროდ ემზადებოდა. მალე კიდევ ერთი საგანგაშო ცნობა მიიღეს, ვანის ფაშა ბაიაზეთზე შეტევისათვის ემზადებოდა. შექმნილი ვითარება პასკევიჩს აიძულებდა კავკასიის კორპუსის ჯარები გადაეჯგუფებინა. გენერალ მურავიოვისა და გენერალ ბურცევის ჯარები გაერთიანდა, რათა მდინარე ფოცხოვის ხეობიდან გამოსასვლელი ჩაეკეტა. ამ განკარგულების შემდეგ 1829 წლის 30 მაისს პასკევიჩი ნიჟეგოროდის დრაგუნთა, ტერგის კაზაკთა პოლკებით ქვეითთა 2 ასეულით ახალქალაქიდან ყარსისაკენ გაემართა. პასკევიჩის ყარსში ჩასვლის შემდეგ ყარსის გარნიზონის რაოდენობა 8 ბატალიონამდე გაიზარდა, თუმცა ოსმალთა ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში გარნიზონი მაინც ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. პასკევიჩი ყარსში 1829 წლის 1 ივნისს ჩავიდა. 2 ივნისს გენერალ-მაიორი ნიკიტა პანკრატიევი ოსმალთა შესახვედრად დაიძრა, მაგრამ მათ სასწრაფოდ უკან დაიხიეს. 5 ივნისს გენერალ-მაიორმა მურავიოვმა ყარსში მყოფ პასკევიჩს აცნობა, რომ კიაჰი ბეის ჯარი დამარცხებული იყო. მურავიოვმა და ბურცევმა არაფერი იცოდნენ ყარსთან შექმნილი ვითარების შესახებ. ყარსიდან პასკევიჩმა ახალციხეში ბურცევთან კურიერი გაგზავნა, მაგრამ გენერალი ახალციხეში არ აღმოჩნდა. კურიერი ბურცევს დაედევნა და მხოლოდ 30 მაისის ღამით დაეწია. ბურცევი იმ სოფლების გადაწვით იყო დაკავებული, რომელთაც რუსეთს მორჩილება არ გამოუცხადეს. კურიერმა ბურცევს პასკევიჩის ბრძანება გადასცა, რომ იგი დაუყონებლივ შეერთებოდა მურავიოვს. ბურცევს ამ ბრძანების შესრულება არ შეეძლო, რადგან პოლკის ძირითადი ნაწილი მას ახალციხეში დაეტოვებინა. შექმნილ ვითარებაში მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მასთან მყოფი ხერსონის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი და 200 კაზაკი 4 ზარბაზნით პოლკოვნიკ ჰოფმანის მეთაურობით დაუყონებლივ მურავიოვს ჯართან შესაერთებლად გაგზავნა, ხოლო თავად ახალციხისაკენ გაემართა. პოლკოვნიკი ჰოფმანი 1829 წლის 1 ივნისს მდინარე ფოცხოვს მიუახლოვდა. კაზაკები მდინარეზე გადავიდნენ თუ არა, ოსმალებმა საბრძოლო განგაში გამოაცხადეს და შეტევა წამოიწყეს. მურავიოვმა არ იცოდა, რომ პოლკოვნიკი ჰოფმანი მასთან შესაერთებლად მიემართებოდა, როდესაც მან ჰოფმანის მიახლოება შეიტყო და მდინარეზე გადასული კაზაკები შენიშნა, ბრძოლისათვის მოემზადა. გენერალმა კაზაკებს 60 ქვეითი დაახმარა და ფოცხოვზე გადასასვლელის დაცვა უბრძანა. თავად მურავიოვი ხერსონის გრენადერთა პოლკის 3 ასეულითა და 4 ზარბაზნით მდინარე ფოცხოვის მარჯვენა მხარეზე გამაგრდა და მოწინააღმდეგეს დაელოდა. დღის 12 საათზე ოსმალებმა მურავიოვის პოზიციებს შეუტიეს. რუსებმა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების (6.000 მებრძოლი) შეტევას ნაშუადღევის 3 საათამდე გაუძლეს. მოწინააღმდეგე უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, როდესაც ბურცევის ხერსონის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონი და შირვანის ქვეითთა პოლკი გამოჩნდა. ოსმალებმა ბრძოლა მაშინვე შეწყვიტეს და უკან დაიხიეს. 1829 წლის 3 ივნისს ყარსში პასკევიჩმა დიდი ზეიმით აღნიშნა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე ოსმალთა დამარცხება.

არზრუმის დაკავება

ახალციხის რაიონში ოსმალთა ახალი შემოტევა მოსალოდნელი აღარ იყო, ივან პასკევიჩმა გადწყვიტა მთელი ძალები ყარსის მიმართულებით გადაესროლა. ამ დროისათვის კავკასიის მთავარსარდლის დაქვემდებარებაში ქვეითთა 14 ბატალიონი, 12 საკავალერიო პოლკი და 70 მძიმე და მსუბუქი ზარბაზანი იყო. ყარსიდან არზრუმის მიმართულებით შეტევის დაწყებისათვის რუსებს მოწინააღმდეგის ძალების შესახებ ცნობები უნდა მოეპოვებინათ. ასეთი სანდო ცნობები პასკევიჩს არ ჰქონდა, სხვადასხვა გზით მოპოვებული ცნობები კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. 1829 წლის 12 ივნისს პასკევიჩმა ყარსიდან არზრუმის მიმართულებით გენერალ-მაიორ ფიოდორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის მეთაურობით კაზაკთა მზვერავი რაზმი გაგზავნა. მზვერავები მეორე დღეს დილით დაბრუნდნენ და მოპოვებული ცნობები მთავარსარდალს ნარუდგინეს. პასკევიჩმა გადაწყვიტა დაუყონებლივ დაეწყო სოღანლუღის მთების გადალახვა. 1829 წლის 13 ივნისს კავკასიის კორპუსის მოწინავე ძალები ბანაკიდან გავიდნენ. 5 ვერსის გავლის შემდეგ პასკევიჩმა ჯარი ორ ნაწილად გაყო. ხერსონის გრენადერთა პოლკი და კაზაკთა ბრიგადა 10 ზარბაზნით მარცხენა ფლანგზე იმოქმედებდა. ჯარის დანარჩენი ნაწილი ბანაკად იდგა და მოვლენათა განვითარებას ელოდა. მეორე დღეს გენერალ-მაიორი ივან ბურცევი 15 ვერსზე მიუახლოვდა ოსმალთა ბანაკს. ყველასათვის მოულოდნელად, ოსმალებს რუსებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. 14 ივნისს, გამთენიისას, რუსების კავალერიამ სოღანლუღის ქედის ჩრდილოეთ კალთები გადალახა და სამხრეთ კალთებზე დასაშვებად მოემზადა. რუსები კარგად ხედავდნენ დაბლობში განლაგებულ ოსმალთა ჯარს. რუსების კავალერიის მოულოდნელმა გამოჩენამ და სოღანლუღის ქედზე პოზიციების დაკავებამ ოსმალთა ბანაკში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. 14 ივნისს დილის 8 საათზე სოღანლუღის სამხრეთ კალთებზე დასაშვებად გამზადებულ რუსეთის კავალერიას ცხენოსანთა ახალი რაზმები მიემატა. პასკევიჩმა დაუყონებლივ შეტევისაგან თავი შეიკავა, რადგან ჯარმა თითქმის შეუსვენებლად გაიარა 40 ვერსი და შეტევის წინ დასვენებას საჭიროებდა. რუსებმა შესვენება მაინც ვერ შესძლეს. 14 ივნისს შუადღისას ოსმალთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა რუსების პოზიციის წინ განლაგებულ კაზაკთა საგუშაგოებს. კაზაკებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან. რუსთა ბანაკში საბრძოლო განგაში გამოცხადდა. გენერალ-მაიორი ნიკოლაი რაევსკი კაზაკთა 3 პოლკით მოწინააღმდეგის ცხენოსნებთან შესაბრძოლებლად გაემართა. კაზაკებს უკან მიჰყვა ქვეითთა 2 პოლკი ზარბაზნებით. ოსმალები ბრძოლაში არ ჩაებნენ და უკან დაიხიეს. 14 ივნისს კაზაკებმა ხელთ იგდეს 3 ოსმალო ჯარისკაცი. ერთ-ერთმა ტყვემ რუსებს აცნობა, რომ ბანაკიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით ოსმალთა საქონლის დიდი ჯოგი ძოვდა. ამ ცნობის შესამოწმებლად დაუყონებლივ გაიგზავნა ცხენოსანთა 2 ასეული. როგორც აღმოჩნდა, ტყვემ იცრუა, რუსებმა ჯოგი ვერ იპოვეს. ცხენოსნები ოსმალთა ჩასაფრებას წააწყდნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს. შეტევისათვის გამზადებული რუსეთის ჯარი სოღანლუღის ქედზე იდგა და სურსათითა და ტყვია-წამლით დატვირთული აღალის მოსვლას ელოდა. რუსთა აღალი სოღანლუღის მთების ჩრდილოეთ კალთებთან მხოლოდ 15-16 ივნისს გამოჩნდა. აღალს უკან მიჰყვებოდა გენერალ ბურცევის კოლონა. აღალისა და დამხმარე ძალის გამოჩენის შემდეგ პასკევიჩმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მოწინააღმდეგე ძალების დაზვერვა. მზვერავი რაზმები 17 ივნისს შეუდგნენ მიღებული ბრძანების შესრულებას. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მზვერავები ოსმალთა ჩასაფრებას წააწყდნენ. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ რუსებს ტყვია-წამალი გაუთავდათ, მდგომარეობა იხსნა მზვერავთა დასახმარებლად გაგზავნილმა ერევნის ქვეითთა და დონის კაზაკთა პოლკებმა, რომელთა საერთო მეთაურობას პოლკოვნიკი ფრიდერიქსი ახორციელებდა. ოსმალებმა შეტევას ვერ გაუძლეს და დიდი ზარალით უკან დაიხიეს. რუსებმა დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. მალე პასკევიჩს მზვერავებმა აცნობეს, რომ ოსმალთა სარდალმა ოსმან ფაშამ ძალები გადააჯგუფა და ძლიერი კორპუსით (12.000 მებრძოლი) კვლავ შეტევისათვის ემზადებოდა. ოსმან ფაშას განზრახვის შესახებ რუსებმა 1829

წლის 17 ივნისს შეიტყვეს. 18 ივნისს პასკევიჩმა შეტევის დაწყების ბრძანება გასცა. რუსეთის ქვეითი ჯარის 6 ბატალიონი 20 ზარბაზნით იმ პოზიციაზე განლაგდა, რომელიც სოღანლუღის ქედზე რუსმა კავალერისტებმა ჯერ კიდევ 14 ივნისს გამთენიისას დაიკავეს. 19 ივნისს დაიწყო შეტევა. შეტევაზე პირველი დაიძრა გენერალ რაევსკის კავალერია, რომელსაც უკან მიჰყვნენ გენერალ პანკრატიევის ქვეითები. დილის 10 საათისათვის ყველა საჯარისო ნაწილი ბრძოლაში იყო ჩართული. რუსეთის ჯარი ზივინის დაკავების მიზნით ორი გზით მიემართებოდა. მთავარ დამრტყმელ ძალას გენერალ მურავიოვისა და გენერალ ბურცევის კოლონები შეადგენდა. ბურცევის კოლონას შეჯახება მოუხდა ოსმალთა ჭარბ ძალებთან (10.000-12.000 მებრძოლი). რუსები მთელი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევას. წარმატებით მოქმედებდა კავალერია, რომელმაც მძიმე ბრძოლების შემდეგ ყარაურგანს მიაღწია, სადაც მცირე ხნით შეისვენა. ქვეითმა ჯარმა ოსმალებს ზივინის მისადგომებამდე მისდია. ზივინზე დაუყონებლივ შეტევა პასკევიჩმა ვერ გაბედა, რადგან იქ ოსმალთა ძლიერი კორპუსი (18.000 მებრძოლი) იდგა. სამაგიეროდ, ოსმალო სარდალმა სასწრაფოდ დატოვა ზივინი. რუსებმა ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი უბრძოლველად დაიკავეს. პასკევიჩმა ოსმალების უკან დახევით ისარგებლა, შეტევა გააგრძელა და 1829 წლის 27 ივნისს არზრუმი დაიკავა. არზრუმის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში 19 ივნისს მძიმედ დაიჭრა გენერალ-მაიორი ივან ბურცევი, რომელიც 23 ივნისს გარდაიცვალა კიდეც. 1829 წლის ივლისში რუსებმა ოსმალთა ჯარებისაგან გაწმინდეს მდინარეების: ჭოროხის, მტკვრისა და არტაანის აუზები, მთელი შავშეთი. მცირე შეტაკებები ოსმალთა ჯარის ნარჩენებთან ოლთისსა და სხვა ადგილებში 1829 წლის სექტემბრშიც გრძელდებოდა.

ადრიანოპოლის ტრაქტატი

რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება დასრულდა და 1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში ხელშეკრულებაც დაიდო. ომის დასრულებისა და საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ საქართველოში არაფერი იცოდნენ, რის გამოც კავკასიის მთავარსარდალი ივან პასკევიჩი საბრძოლო მოქმედებებს განაგრძობდა, კერძოდ, ყარსისა და არზრუმის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ოსმალთა დაქსაქსული რაზმების ლიკვიდაცია. ოსმალო სერასკირი ლაზეთში ჯარის მობილიზაციას აგრძელებდა.

ბალკანეთზე საბრძოლო ოპერაციების დასრულების შემდეგ დუნაის არმიის მთავარსარდალმა გენერალ-ფელდმარშალმა ივან დიბიჩმა, როგორც კი ზავი დაიდო, ივან პასკევიჩთან საგანგებო კურიერები გააგზავნა. ადრიანოპოლის ზავის პირობების გაცნობის შემდეგ პასკევიჩმა უკმაყოფილება ვერ დამალა, იგი თვლიდა, რომ რუსეთს საზავო ხელშეკრულებით უფრო მეტი უნდა მიეღო, განსაკუთრებით – სამხრეთ კავკასიაში.

1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში დადებული რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მეოთხე მუხლის ძალით, რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ჩოლოქის შავ ზღვაში ჩადინების ადგილიდან და მისდევდა ჩოლოქს, შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს, ისე, რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის იმპერიაში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ ორი საათის სავალისა). რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები – ყარსის, ბაიაზეთისა და არზრუმის საფაშოები და ახალციხის საფაშოს უმეტესი ტერიტორია (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი) – ოსმალეთის შემადგენლობაში რჩებოდა. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ყარსის, ბაიაზეთისა და არზრუმის საფაშოების ტერიტორია და ახალციხის საფაშოს ნაწილი.

1877-1878 წლების ომი

კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი მიხაილ რომანოვი მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისათვის ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1876 წლის 27 მაისს მეფისნაცვალმა მიიღო მითითება, რომ დაეწყო საბრძოლო წვრთნები და კავკასიის კორპუსი ოსმალეთის საზღვრებთან ახლოს სტრატეგიულ მიმარ-

დაბრუნება

თულებებზე განელაგებინა. 1877 წლის 28 მარტს სამხედრო მინისტრმა დიმიტრი მილიუტინმა მიხაილ რომანოვს ტელეგრაფით აცნობა: ,,კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობები საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ ომი გარდაუვალია. ხელმწიფე იმპერატორი თქვენს უმაღლესობას ნებას რთავს გასცეთ წინასწარი განკარგულებები ჯარების გადაადგილების შესახებ. ჯარების მიერ საზღვრის (ოსმალეთის საზღვრის – ვ. გ.) გადალახვა უნდა დაემთხვეს ომის გამოცხადებას, რის გამოც მის უდიდებულესობას სურს იცოდეს, რა დრო დაგჭირდებათ ამ ღონისძიებათა გატარებისათვის მოსამზადებლად“. მიხაილ რომანოვმა სამხედრო მინისტრს შეატყობინა, რომ კავკასიის კორპუსის სამხედრო ძალები 1877 წლის 12 აპრილისათვის იქნებოდა მზად.

სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად იყო კავკასიის კორპუსის ჯარების 55.000 ოფიცერი და ჯარისკაცი: ქვეითთა 43 ბატალიონი, რეგულარული კავალერიის 16 ესკადრონი, კაზაკთა ჯარის 65 ასეული, 15 საარტილერიო ბატარეა (120 ზარბაზანი). გარდა ამისა, მობილიზებული იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სახალხო ლაშქარი (მილიცია). ანატოლიაში რუსეთის ჯარის შეტევის მოსაგერიებლად ოსმალეთის სარდლობას 70.000 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავდა მობილიზებული, კარგად იყო გამაგრებული ყარსი, არტაანი, არზრუმი. კავკასიის კორპუსის შტაბის მიერ შემუშავებული საბრძოლო მოქმედებების გეგმა, რომელიც პეტერბურგში მოინონეს, ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევას რამდენიმე მიმართულებიდან ვარაუდობდა:

1. გურიიდან (მდინარე ჩოლოქის ნაპირებიდან) ქობულეთი–ციხისძირი–ბათუმის მიმართულებით;

2. ახალციხიდან არტაანის (არდაგანის) მიმართულებით;

3. ალექსანდროპოლიდან ყარსის მიმართულებით;

4. ერევნიდან ბაიაზეთის მიმართულებით.

გურიის რაზმს მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ივან ოკლობჟიო (1818-1880); ახალციხისას – გენერალ-მაიორი ფიოდორ დეველი (1818-1887); ალექსანდროპოლისას – გენერალ-ლეიტენანტი ვასილი ჰეიმანი (1823-1878); ერევნისას – გენერალ-ლეიტენანტი არშაკ ტერ-გუკასოვი (1819-1881). კავკასიის ფრონტზე მოქმედი ჯარის სარდლად გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი მიხაილ ლორის-მელიქოვი (1825-1888) დაინიშნა, ხოლო საერთო სარდლობას ახორციელებდა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, მეფისნაცვალი მიხაილ რომანოვი.

საბრძოლო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე გამარჯვებით დაიწყო. წარმატებით განვითარდა შეტევა რუსეთის ჯარის მარცხენა ფრთაზე. 1877 წლის 20 აპრილს გენერალმა არშაკ ტერ-გუკასოვმა ქალაქი ბაიაზეთი დაიკავა. 10 მაისს რუსეთის ჯარების ორმა კოლონამ, გენერლების ვასილი ჰეიმანისა და ფიოდორ დეველის მეთაურობით ალყა შემოარტყა ქალაქ არტაანს. მდინარე მტკვრის ზემო წელში მდებარე არტაანის ციხესიმაგრე ოსმალებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული, ციხის გარნიზონი 8.000 ოფიცრისა და ჯარისკაცისაგან შედგებოდა, ხოლო არტილერია 95 ზარბაზანს ითვლიდა. 16 მაისს რუსების საარტილერიო დივიზიონმა პოდპოლკოვნიკ მუსხელიშვილის მეთაურობით ძლიერად დაბომბა არტაანი. ელისავეტოპოლის ქვეითთა პოლკმა მიხეილ ამირეჯიბის მეთაურობით ჰელიავერდის მთაზე ოსმალთა ბანაკი გაანადგურა, რითაც გზა გაუხსნა ძირითადი ძალების შეტევას ქალაქზე. 17 მაისს ხანგრძლივი იერიშის შემდეგ რუსები ქალაქში შეიჭრნენ, ოსმალებმა ბრძოლაში 2.000 ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგეს. 300 ოსმალო რუსებმა ტყვედ აიყვანეს. არტაანის აღების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით რუსებს გზა გაეხსნათ ბათუმისაკენ. ამ გადამწყვეტ მომენტში მიხაილ ლორის-მელიქოვმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: ბათუმზე შეტევა არტანუჯისა და ართვინის გავლით კი არ დაიწყო, არამედ – გურიიდან ქობულეთისა და ციხისძირის გავლით. ლორის-მელიქოვმა ბათუმის დაკავებას ყარსის დაკავება არჩია და ძირითადი ძალები სწორედ იქითკენ მიმართა. ყარსი ძლიერ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და კარგადაც იყო გამაგრებული. რუსების მოალყე ჯარს საშუალება არ ჰქონდა საარტილერიო ნაწილები მოხერხებულად განელაგებინა, რადგან ყარსის ციხიდან ტერიტორია კარგად კონტროლდებოდა. რუსებს იერიშიც ღია ტერიტორიიდან უნდა დაეწყოთ, რაც ოსმალებს საარტილერიო დაბომბვის დაწყების საშუალებას აძლევდა. 1877 წლის 13-14 ივნისს, ღამით, გენერალი დეველი შეეცადა შეუმჩნევლად მიახლოებოდა ყარსის ციხეს და საარტილერიო ბატარეები განელაგებინა. შეტევაზე დაიძრა გენერალი ჰეიმანიც. მიხაილ ლორის-მელიქოვი მიხვდა, რომ ყარსის გარშემო დიდი ცოცხალი ძალისა და არტილერიის თავმოყრას აზრი არ ჰქონდა, რადგან ყარსის ციხე-სიმაგრის აღება მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანას არ წყვეტდა. უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არზრუმის დაკავებას ენიჭებოდა. ეს კარგად იცოდნენ ოსმალებმაც. ოსმალო სარდლებმა ისარგებლეს ყარსთან რუსების შეფერხებით და არზრუმი კიდევ უფრო კარგად გაამაგრეს. ოსმალეთის ჯარების ანატოლიის კორპუსის სარდალი მუჰთარ ფაშა ჯარების მობილიზაციას აგრძელებდა. ოსმალთა ძირითადი ძალა თავს ზივინის მიდამოებში იყრიდა. ზივინის სტრატეგიული მნიშვნელობა განსაზღვრული იყო იმით, რომ იგი ყარსის, ოლთისისა და ალაშკერტის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარეობდა.

1877 წლის 10 ივნისისათვის მუჰთარ ფაშამ ჯარები მზადყოფნაში მოიყვანა და რუსების წინააღმდეგ კონტრშეტევა დაიწყო. ოსმალთა ჯარის მარჯვენა ფლანგმა ბაიაზეთის მიმართულებით შეუტია, მაგრამ დარიარის ხეობაში რუსებთან შეჯახებისას დამარცხდა. ოსმალებმა უწესრიგოდ დაიხიეს არზრუმისაკენ. ამის შემდეგ მუჰთარ ფაშამ ჯარები თავად დაძრა შეტევაზე. 21 ივნისს გენერალმა არშაკ ტერ-გუკასოვმა გადამწყვეტ ბრძოლაში ოსმალები კვლავ დაამარცხა. გამარჯვების მიუხედავად ტერ-გუკასოვის ერევნის რაზმი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მოწინააღმდეგეს სამჯერ მეტი ცოცხალი ძალა ჰყავდა. ერევნის რაზმის გადარჩენის მიზნით მიხაილ ლორის-მელიქოვმა მთავარი ძალები ზივინის მიმართულებით დაძრა. ამის საპასუხოდ მუჰთარ ფაშამ ერევნის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლას თავი დაანება და ზივინის მიდამოებში დაბანაკდა. ლორის-მელიქოვის მანევრმა ტერ-გუკასოვის რაზმი კი იხსნა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსთა ჯარის ის ნაწილები, რომლებიც ამ დროისათვის ოსმალეთის ტერიტორიის სიღრმეში იყვნენ შეჭრილნი.

1877 წლის 25 ივნისს ზივინთან რუსთა და ოსმალთა მთავარი ძალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მუჰთარ ფაშას გაციცებით მეტი ცოცხალი ძალა ჰყავდა. ოსმალთა შეტევის შემდეგ რუსების ცენტრმა და მარცხენა ფრთამ უკან დახევა დაიწყო, რასაც ოსმალთა საერთო შეტევის დაწყება მოჰყვა. ამ მარცხის შემდეგ რუსეთის ჯარის მდგომარეობა კრიტიკული გახდა, ლორის-მელიქოვმა უკან დაიხია. რუსებმა მხოლოდ არტაანის შენარჩუნება შეძლეს.

საბრძოლო მოქმედებები გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ბრძოლების რაიონში კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი მიხაილ რომანოვი ჩავიდა. 1877 წლის ივნისში პეტერბურგიდან კავკასიაში ჩამოვიდა გენერალი ნიკოლაი ობრუჩევი, რომელმაც თან ჩამოიტანა საბრძოლო მოქმედებების გეგმა. კავკასიის კორპუსს ქვეითთა 2 ახალი დივიზია შეემატა, გამოცხადდა მილიციის დამატებითი მობილიზაცია. გაძლიერდა მუჰთარ ფაშას კორპუსიც. საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ მიხაილ ლორის-მელიქოვის დაქვემდებარებაში 50.000 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. მუჰთარ ფაშას კორპუსი 37.000 ოფიცერსა და ჯარისკაცს ითვლიდა.

გენერალური ბრძოლა რუსებსა და ოსმალებს შორის 1877 წლის 2 ოქტომბერს ავალიარის მიდამოებში მოხდა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, მესამე დღეს, რუსებმა საწყის პოზიციებზე დაიხიეს. მართალია, რუსეთის ჯარმა წინ ვერ წაიწია, მაგრამ ოსმალებს დიდი ზიანი მიაყენა – ბრძოლაში 8.000 ოსმალო ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა. 14 ოქტომბერს ოსმალებმა რუსებთან შეჯახებაში მარცხი იწვნიეს, 27 ოქტომბერს კი რუსებმა ალაჯის სიმაგრეებზე განლაგებული ოსმალთა ჯარი გაანადგურეს. ბრძოლაში ოსმალებმა დაჭრილთა და მოკლულთა სახით 13.000 ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგეს, 7 ფაშა, 250 ოფიცერი და 7.000 ჯარისკაცი რუსებმა ტყვედ აიყვანეს. დაიჭრა ან დაიღუპა 1.400 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი.

ავალიარისა და ალაჯის ბრძოლებში განცდილი მარცხის შემდეგ მუჰთალ ფაშამ ყარსს შეაფარა თავი. რამდენიმე დღის შემდეგ მუჰთარ ფაშამ ყარსის გარნიზონი ჰუსეინ ჰამი ფაშას ჩააბარა, თვითონ კი 3.000 მებრძოლით მცირე აზიაში გაფანტულ ოსმალთა ჯარების თავმოყრას შეუდგა. რუსეთის სარდლობამ მოპოვებული გამრჯვებით ისარგებლა და არზრუმისაკენ დაძრა ჯარები. მუჰთარ ფაშამ 20.000 მებრძოლით 1877 წლის 5 ნოემბერს რუსეთის ჯარის შეჩერება სცადა, მაგრამ დევე ბოინთან გამართულ ბრძოლაში ისევ დამარცხდა, ბრძოლის ველზე დატოვა 3.000 მოკლული და 42 ზარბაზანი. 10 ნოემბერს რუსები ანატოლიის მთავარ ქალაქს – არზრუმს მიადგნენ, მაგრამ სტიქიურად დაწყებული იერიში მარცხით დასრულდა. როცა რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი არზრუმს უახლოვდებოდა, მეორე ნაწილი თანდათან ავიწროებდა ალყას ყარსის გარშემო. ყარსის ციხე-სიმაგრიდან ოსმალთა 300 ზარბაზანი განუწყვეტლივ ბომბავდა რუსების პოზიციებს. 1877 წლის 17-18 ნოემბერის ღამით მიხაილ ლორის-მელიქოვმა ყარსზე გადამწყვეტი იერიში დაიწყო და 18 ნოემბერს განთიადისას ციხე-სიმაგრე აიღო კიდეც. ოსმალებმა ბრძოლაში მოკლულთა სახით 2.500 ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგეს, რუსებს ტყვედ დანებდა 17.000 მებრძოლი, მათ შორის 5 ფაშა და 800 ოფიცერი. მოკლულთა და დაჭრილთა სახით რუსების დანაკარგი 2.000 კაცს შეადგენდა.

ყარსის ციხე-სიმაგრის დაცემა ოსმალთა საბოლოო მარცხის მომასწავებელი იყო, რუსეთის ჯარები შავშეთში შეიჭრნენ, ქალაქი არტანუჯი დაიკავეს. რუსებს ბათუმისაკენ გზა გახსნილი ჰქონდათ.

1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება. 1878 წლის თებერვალში ნიკოლაი იგნატიევი დაბა სან-სტეფანოში ჩავიდა. ეს დაბა ოსმალეთის დედაქალაქ სტამბოლიდან 12 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. სან-სტეფანოში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაციაც. რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოების შუამავლობის გარეშე დაიწყო. 1878 წლის 19 თებერვალს, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ II-ის ტახტზე ასვლის დღეს, დღის 2 საათზე, სან-სტეფანოში რუსეთის ჯარების აღლუმი დაინიშნა. იმის გამო, რომ რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, გადაწყდა სამხედრო აღლუმი ზავზე ხელმოწერის შემდეგ ჩაეტარებინათ. 19 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე, ნიკოლაი იგნატიევმა გამოაცხადა, რომ ზავი ხელმოწერილი იყო. დუნაის არმიის მთავარსარდალმა ნიკოლაი რომანოვმა ჯარებს ზავის დადება მიულოცა და იმპერატორის სახელით მადლობა გადაუხადა გენერლებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ამის შემდეგ მთავარსარდალმა რუსეთის ჯარის აღლუმი მიიღო. იმავე დღეს სტამბოლში წმინდა სოფიის ტაძარში რუსმა სამღვდელოებამ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) დაბა სან-სტეფანოში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილი პრელიმინარული (წინასწარი) ზავი 29 მუხლისაგან შედგებოდა. საზავო ხელშეკრულების მე-19 მუხლის ძალით, ოსმალეთს რუსეთისათვის ომის დროს დაკავებული ტერიტორიების სანაცვლოდ კომპენსაცია უნდა გადაეხადა. ამ მიზნით განისაზღვრა თანხის რაოდენობაც. სულ ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნების საფასურად ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა 1410 მილიონი ფრანკი. იმ ტერიტორიათა შორის, რომელიც რუსეთს დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა, იყო: არტაანი (არდაგანი), ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღის მთაგრეხილამდე. საზავო ხელშეკრულების იმავე, მე-19 მუხლში, დაწვრილებით იყო აღწერილი ზემოთ ხსენებული ტერიტორიის საზღვრები. თუ ოსმალეთი რუსეთს დადგენილ თანხას არ გადაუხდიდა, საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასე განისაზღვრებოდა: არტაანი (არდაგანი), ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი რჩებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გასდევდა მდინარეების ხოფასა და ჭოროხის წყალგამყოფს, შემდეგ მიუყვებოდა მთებს ისე, რომ სასაზღვრო ხაზი ართვინის სამხრეთით გადიოდა და ასე გრძელდებოდა მდინარე ჭოროხამდე(სოფლების ალატისა და ბეშაგეთის მახლობლად). აქედან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარეების თორთომისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთების თხემს, გადიოდა სივრი-დაღის გადასასვლელზე, საიდანაც უხვევდა სამხრეთით და მიდიოდა ზივინამდე. ზივინის გზიდან სასაზღვრო ხაზი უხვევდა დასავლეთით, გადიოდა სოფელ არდოსტსა და ხორასანზე, საიდანაც დაეშვებოდა სამხრეთით სოღანლუღის მთებამდე, შემდეგ გასდევდა ალი-დაღის მთებს და სამხრეთიდან შემოუვლიდა ბაიაზეთს. მე-19 მუხლი ცალკე არ ადგენდა არტაანის(არდაგანის), ყარსის, ბათუმის, ბაიაზეთისა და სოღანლუღის მთებამდე ტერიტორიის ფასს. ბალკანეთსა და კავკასიაში ოსმალეთისათვის დასაბრუნებელი ტერიტორიის საერთო ფასი 1410 მილიონი ფრანკით განისაზღვრა. რუსეთის არმიას 3 თვის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა ყველა ტერიტორია, რომელიც კი მას ოსმალეთის ევროპულ ნაწილში ეკავა; რუსეთის არმიას ოსმალეთის აზიური პოზიციები უნდა დაეტოვებინა ზავის დადებიდან 6 თვის განმავლობაში.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ II-მ უარი განაცხადა დადგენილი თანხის სანაცვლოდ ომის დროს დაკავებული ტერიტორიის, ბათუმისა და ყარსის, ოსმალეთისათვის დაბრუნებაზე.

1878 წლის 16 მარტს სან-სტეფანოში სარატიფიკაციო სიგელებისგაცვალეს. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ბერლინის კონგრესი. ევროპის სახელმწიფოებს ხელს არ აძლევდა რუსეთის მიერ მოპოვებული გამარჯვება და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები. ევროპის ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები გადაისინჯა. ეს მოხდა ბერლინის კონგრესზე. კონგრესის გახსნის დღედ 1878 წლის 1 ივნისი შეირჩა. 1 ივნისისათვის რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, იტალიისა და ოსლამეთის დელეგაციები ბერლინში ჩავიდნენ. დელეგაციის წევრები 1 ივნისს გერმანიის მემკვიდრე პრინცმა მიიღო, ხოლო დღის 2 საათზე კონგრესი მუშაობას შეუდგა. კონგრესის თავმჯდომარეობა გერმანიის კანცლერ ოტტო ფონ ბისმარკს დაევალა. კონგრესმა მუშაობა 1878 წლის 1 ივლისს დაასრულა.

1878 წლის 1 (13) ივლისს რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ და ოსმალეთმა ბერლინში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (ტრაქტატს). რუსეთი იძულებული გახდა, ევროპის ქვეყნებისათვის დაეთმო და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ოსმალეთის სასარგებლოდ შეერბილებინა.

ბერლინის ტრაქტატი შეეხო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. ტრაქტატის 58-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთი რუსეთს უთმობდა: არტაანს (არდაგანს), ყარსსა და ბათუმს (პორტი-თურთ), ასევე მთელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ძველ საზღვარსა და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით დადგენილ ახალ საზღვარს შორის. ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში, რომელიც ძირითადად ემთხვეოდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მე-19 მუხლით დადგენილ საზღვარს. 59-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ბათუმის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ნავსადგურად) გამოცხადებას დაეთანხმა უმეტესად კომერციული მოსაზრებით. ბერლინის ტრაქტატის მე-60 მუხლის ძალით, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით რუსეთისათვის გადაცემული ალაშკერტის ველი და ქალაქი ბაიაზეთი უბრუნდებოდა ოსმალეთს.

ამრიგად, მესხეთის დედასამშობლოში დაბრუნებას სამი ომი დასჭირდა. ოსმალეთს კიდევ დარჩა ძირძველი ქართული ტერიტორია, რომელის მოსახლეობასაც, სამწუხაროდ, სამი ომის შემდეგაც კი დედასამშობლოში დაბრუნება არ ეღირსათ.

შოთა ალთუნაშვილი

შოთა ალთუნაშვილი იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში, ათწლეულების განმავლობაში, მოღვაწეობდა სამცხე-ჯავახეთში. იგი იყო: ლოტბარი და მომღერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი. თავისი მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში. კერძოდ, უდიდესი ძალისხმევით შეძლო მესხური სიმღერის აღდგენა, წარმოჩენა და დაცვა.

ბატონი შოთა იმ ადამიანთა კატეგორიასაც ეკუთვნის, რომლებიც სიცოცხლის განმავლობაში ფუტკარივით შრომობენ და თავიანთი საქმიანობის შესახებ არანაირ რეკლამას არ აკეთებენ. აღნიშნულს ასაბუთებს მის თანამედროვეთა მოგონებები და მისი განვლილი გზაც....

შოთა ალთუნაშვილი დაიბადა 1933 წლის 23 იანვარს ქალაქ თბილისში რევაზ ალთუნაშვილისა და მარიამ ქართველიშვილის ოჯახში. ალთუნაშვილები წარმოშობით მანგლისის რაიონიდან, სოფელ დვალთა და პატარა თონეთიდან არიან. ბატონი შოთა ბავშვობიდანვე მხიარული და მოღიღინე ბავშვი იყო. იგი ადრეული ბავშვობის ასაკიდან გამოირჩეოდა თავისი მუსიკალურობით, რაც თავის უფროს ძმას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და თავისი ხელით ფანდური გამოუთლია. თვითონ შოთამ მას სიმები მოარგო და ასე შეიძინა თავისი პირველი მუსიკალური ინსტრუმენტი – ფანდური. იგი სწავლობდა ქალაქ თბილისის N7 საშუალო სკოლაში. მისი მუსიკალურობით მოხიბლულმა მუსიკის მასწავლებელმა სოფიო ჩოლოყავამ, ათი წლის შოთა გუნდში მიიყვანა, ჩონგურზე და სალამურზე დაკვრა ასწავლა. 1945 წლიდან მუსიკალური ცოდნის გაღრმავებისათვის, უკვე მოზარდი შოთა, სოფიო ჩოლოყავას სახლში დადიოდა და პიანინოზე დაკვრას სწავლობდა. ბატონ შოთას გადმოცემით: იმ დროს თბილისში თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის პიანინო იყო. მას მასწავლებელი თავისი ოჯახის წევრად თვლიდა. თუ სახლში არავინ იყო, ტილოს ქვეშ უტოვებდნენ სახლის გასაღებს. მას შეეძლო შესულიყო და ემეცადინა. მათ შორის იმდენად თბილი დამოკიდებულება იყო, რომ ხშირად მასწავლებელი შოთას ჯერ დააპურებდა და შემდეგ ამეცადინებდა.

რამდენადაც მუსიკისადმი დამოკიდებულება და ღმერთისაგან ბოძებული მუსიკის ნიჭი ბავშვობის ასაკშივე გამოუვლინდა, სკოლის დამთავრების შემდეგ გაყვა მუსიკის გზას. სწავლა განაგრძო თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. მესამე კურსზე ყოფნის დროს თვით კულტურის სამინისტროს მიერ მივლინებულ იქნა ახალციხეში კულტსახლის დირექტორად (1955 წელს). პარალელურად მუშაობა უხდებოდა სამუსიკო სკოლაში თეორიული საგნების მასწავლებლად. ცოტა მოგვიანებით, ბატონი შოთა უკვე დაოჯახებული იყო, როდესაც უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (1960-1966 წ.წ.). ამასთან დაკავშირებით მისი ვაჟი პაატა იგონებს: „სანამ მამას ლექციები დაუმთავრდებოდა, ჩვენ კონსერვატორიასთან ტროტუარზე ჩამოვსხდებოდით და ისე ველოდებოდით მამას გამოსვლასო“.

ქალაქ ახალციხის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სამუსიკო სკოლის დაარსება. 1955 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით გაიხსნა სამუსიკო სკოლა საფორტეპიანო განყოფილებით. პედაგოგებად მივლინებულები იქნენ: თამარ გაჩეჩილაძე, ოფელია მოვსესიანი, ვიოლეტა ყველაშვილი და შოთა ალთუნაშვილი (შემდგომში თითოეული მათგანი იმავე თანმიმდევრობით იყვნენ დასახელებული სკოლის დირექტორები). ბატონი შოთა 1963 წლიდან დაინიშნა აღნიშნული სკოლის დირექტორად, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვრამეტი წლის განმავლობაში (ე.ი. 1963-1981 წწ.).

თავდაპირველად სამუსიკო სკოლა მოთავსებულ იქნა პედაგოგიური სასწავლებლის შენობაში, სადაც დაეთმო ორი საკლასო ოთახი.

ვასილ კვინცხაძე და ანსამბლი „მესხეთი“ copy

ხოლო 1963 წლიდან ბატონი შოთა ალთუნაშვილის ინიციატივით სკოლამ ბინა დაიდო ამჟამინდელ შენობაში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე. აღნიშნული დროისათვის, როგორც სამუსიკო სკოლის დირექტორის შოთა ალთუნაშვილის მოხსენებითი ბარათიდან ვგებულობთ, სკოლას მოუხდენია კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვება, რომელთა რიცხვი 70 მოსწავლეს შეადგენდა. სკოლას კი ემსახურებოდა ოცდაექვსი პედაგოდი და თვით ახალციხის რაიონში იყო ოთხი მუსიკალური სკოლა.

სამუსიკო სკოლაში პირველ წელს მიღებული იქნა თხუთმეტი


შოთა ალთუნაშვილი შვილებთან ერთად

მოსწავლე. შემდგომ პერიოდში სკოლაში გაიხსნა საორკესტრო, ვიოლინოს, ვიოლენჩელოს, კლარნეტის, ფლეიტისა და აკორდეონის კლასები. განყოფილების დამატებასთან ერთად გაიზარდა მოსწავლეთა კონტიგენტი და სახეცვლილება განიცადა სკოლის შენობამაც. კერძოდ, 1981 წელს სკოლას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, დაემატა ერთი სასწავლო კორპუსი თექვსმეტი საკლასო ოთახით და ორი საკონცერტო დარბაზი (300 და 80 კაციანი). ამასთანავე, სკოლა მომარაგდა ინვენტარით (მათ შორის – უცხოური მარკის ათი როიალით). დაარსების დღიდან სასწავლებლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ შიდასასკოლო, რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. ბევრმა მათგანმა დაიმსახურა ლაურეატის წოდება.

შოთა ალთუნაშვილის დირექტორობის პერიოდში სამუსიკო სკოლას მრავალი ღონისძიების მომზადება მოუხდა. მათ შორის განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილე. სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ მომზადდა ლექცია-კონცერტები კომპოზიტორის შემოქმედების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მისი დირექტორობის პერიოდში ახალციხის სამუსიკო სკოლაში, მოსწავლეთა ჩართულობით, დაიდგა რამდენიმე ოპერა. მათ შორის „წითელ ქუდა“, „დათვმა ლხინი გადიხადა“ და ა.შ.

სამცხე-ჯავახეთში ჩამოსვლისთანავე შოთა ალთუნაშვილი აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. მის სახელს უკავშირდება მომღერალთა არაერთი გუნდის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა. კერძოდ, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალციხის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. ასევე, წლების განმავლობაში. ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს სოფელ აწყურის კულტურის სახლში. იგი აწყურში გადავიდა 1956 წელს. გუნდის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. ასრულებდნენ როგორც ხალხურ, ისე კლასიკურ და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მათ შორის: „შრომის გმირის სიმღერა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „იმერული მგზავრული“ და სხვა. აღსანიშნავია ხალხური სიმღერა „მესხური სუფრული“, რომელიც შოთა ალთუნაშვილს ადგილობრივი მკვიდრის – ექიმ ჯინჭველაძისაგან ჩაუწერია. შოთა ალთუნაშვილმა გუნდში მრავლად შემოიკრიბა სკოლადამთავრებული ახალგაზრდა კოლმეურნეები და აზიარა ქართული სიმღერის კულტურას. აწყურში მისი ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა სამოცი კაცისაგან შექმნილი მომღერალთა გუნდი. იგი ასევე ხელმძღვანელობდა ასპინძასა და ადიგენში ხალხური სიმღერის გუნდებს.

ბატონ შოთას მოღვაწეობაში ასევე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ახალციხის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების დაარსება 60-იანი წლების ბოლოს, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. საყურადღებოა ისიც, რომ 1970 წელს აღნიშნულ საზოგადოებასთან დაარსდა ჯერ ხალხური სიმღერის შემსწავლელი სკოლა. ის იყო ოთხწლიანი სკოლა, კურსდამთავრებულს ეძლეოდა მოწმობა, რომელითაც ფოლკლორის კუთხით მუშაობა შეეძლო. ასევე შეეძლო სკოლაში ყოფილიყო სიმღერის მასწავლებელი. ამ სკოლასაც თვითონ ხელმძღვანელობდა. პედაგოგები იყვნენ ლელა ნაროზაული და მზია ნათენაძე. ცოტა მოგვიანებით დაემატა ქორეოგრაფი ვაჟა ნასყიდაშვილი და ცოტა ხანში მოხსენიებულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ქართული ცეკვის სკოლა. ე.ი. საზოგადოებას ახალციხეში ჰქონდა სიმღერისა და ცეკვის სკოლა. გარდა ამისა, საზოგადოებას თავისი ფილიალი ჰქონდა ნინოწმინდაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პაატა ალთუნაშვილი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში შოთა ალთუნაშვილის ხელმძღვანელობით ახალციხეში, სამუსიკო სკოლაში ჩამოყალიბდა და წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა საორკესტრო ანსამბლი. ანსამბლის წევრები იყვნენ იმავე სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები (სულ ოცი წევრი). ბატონ შოთას ვაჟის პაატას გადმოცემით ნიჭიერ მუსიკოსს უნდოდა ორკესტრის შექმნაც. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო.

შოთა ალთუნაშვილის მოღვაწეობიდან ასევე განსაკუთრებულად საყურადღებოა მის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქალაქ ახალ-

შოთა ალთუნაშვილი - მუშაობის დრო

ციხეში გოგონათა ინტერნაციონალური გუნდის „მღერის ოთხასი გოგონა“ – ჩამოყალიბება. გუნდი ჩამოაყალიბა ქალაქის სკოლების ბაზაზე. რეპერტუარში შედიოდა: ქართული, სომხური, რუსული, უკრაინული, პოლონური და ა.შ. სიმღერები. გუნდი რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა. მაყურებელი გაოცებული იყო მათი ნიჭიერებითაც და მრავალრიცხოვნებითაც: „სცენაზე რომ ვერ თავსდებოდნენ, წევრების ნაწილს კულისებში უწევდათ დგომაო“.

განსაკუთრებით განუსაზღვრელია ნიჭიერი ლოტბარის წვლილი ანსამბლ ,,მესხეთის“ მოღვაწეობაში. იგი ერთ-ერთი უხუცესია ქალაქ ახალციხეში მოქმედ ფოლკლორულ ანსამბლთა შორის. ახალციხის კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლი ,,მესხეთი“ დაარსდა 1949 წელს. მის რეპერტუარში წლების განმავლობაში იყო ქართული ხალხური სიმღერები, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერები, საგალობლები და სხვა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მესხური სიმღერების შესრულებასა და პოპულარიზაციის საქმეს. მათგან აღსანიშნავია: ,,მამლი მუხასა“, ,,ოთხი წყარო დის“, ,,მესხური მრავალჟამიერი“, ,,ავთანდილ გადინადირა“ და სხვ. ანსამბლი ,,მესხეთი“ წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას. არ არსებულა რეგიონისა თუ ქვეყნის მაშტაბით მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელშიც ანსამბლს არ მიეღოს მონაწილეობა. ანსამბლი არის რესპუბლიკური, საკავშირო და სართაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი. აღსანიშნავია ანსამბლის გასტროლები ქალაქ მოსკოვში 1979 წელს, რუმინეთში – 1984 წელს და ბულგარეთში –1986 წელს. ანსამბლი იყო შერეული ტიპის, ხოლო 1993 წლიდან ფუნქციონირებს მხოლოდ მამაკაცთა შემადგენლობით: შოთა ალთუნაშვილი, თორნიკე კურტანიძე, გიორგი გასიტაშვილი, ზაზა ბერიძე, ოთარ მავზარაშვილი, გურამ ზუმბაძე, ტარიელ ზუმბაძე, შალვა ზუბაშვილი, ელდერ სადათიერაშვილი, თამაზ კუჭაძე, ზაზა თამარაშვილი. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი იყო შოთა ალთუნაშვილი, მისი გარდაცვალების შემდეგ, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, წარმატებით ხელმძღვანელობს ზაზა თამარაშვილი. ბატონ ზაზას, რომელიც წლების განმავლობაში მის გუნდში მოღვაწეობდა, ბევრი კარგი მოგონება დარჩა უფროსი მეგობრის შესახებ. მათი საქმიანი ურთიერთობა დაიწყო 1993 წელს, როდესაც უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. იმ დროს ბატონმა შოთამ აღადგინა ანსამბლი „მესხეთი“ თხუთმეტი წევრით. მან ზაზა თამარაშვილს შესთავაზა, რომ ყოფილიყო მეორე ხმა. „უნივერსიტეტის გუნდში პირველ ხმას ვმღეროდი, მითხრა სოლოს ძირითადად მეორე ხმა ასრულებს და თან ხმა შეგენახებაო. სწორი რჩევა მომცა, დღემდე მადლიერი ვარ მისი“, – იგონებს ბატონი ზაზა. ბატონი შოთა, როგორც უფროსი მეგობარი ყოველთვის მხარში ედგა ახალგაზრდა კოლეგას. როდესაც მის მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლები: „თამარიონი“ და „შავლეგო“ კონცერტებისა და ფესტივალებისათვის ემზადებოდნენ, იგი კონსულტაციას უწევდა, ეხმარებოდა რეპერტუარის შერჩევაში, სიმღერების დამუშავებაში. ბატონი ზაზა იგონებს, რომ მან, დროებით, სრულიად უსასყიდლოდ, დაუთმო თავის ფართი ანსამბლ „თამარიონს“ სარეპეტიციოდ, ასევე, უმოკლეს დროში, რესტავრაცია გაუკეთა და ააწყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიანინო და დაგეგმილი კონცერტი ჩაშლას გადაარჩინა. „ბატონი შოთა საინტერესო პიროვნება იყო, კარგი მოსაუბრე. მღეროდა არიებს. ის და ანზორ თამარაშვილი შესანიშნავად ასრულებდნენ აბესალომისა და მურმანის დუეტს. მან სოფელ უდეში ჩაიწერა მესხური სუფრული „ძმანო“, დაამუშავა და მხოლოდ ანსამბლი „მესხეთი“ ასრულებდა, მის რეპერტუარშია დღემდე. საერთოდ, მესხური სიმღერების პოპულარიზაციას ეწეოდა. ვალერიან მაღრაძესთან და ანზორ თამარაშვილთან ერთად მრავალი მესხური სიმღერა მოიძია და დაამუშავა. ბატონ შოთას ჰყავდა (90-იანი წლების მეორე ნახევარში) ვაჟთა გუნდი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ფესტივალებზე. შესანიშნავად ასრულებდნენ სიმღერას „შენ ბიჭო ანაგურელო“....

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შოთა ალთუნაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ძველი მესხური სიმღერების მოძიება-შესწავლაში. მან ვალერიან მაღრაძესთან ერთად მოიარა ძირძველი მესხური სოფლები და მოხუცი ხალხისაგან ჩაიწერა სიმღერები. მათ შორის: „ავთანდილ გადინადირა“, „გეგუთისა მინდორზედა“, „ოქრომჭედელო“ და ა.შ. მისი ვაჟი პაატა იგონებს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბატონ შოთას, ბატონ ვასო კვინცხაძესთან ერთად, სოფელ მუსხიდან ძველი სიმღერების მცოდნე მოხუცები (ბერიკაცები) წაუყვანია სოფელ ხიზაბავრაში. იქაც მრავლად იყვნენ სიმღერის მცოდნენი (ამაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მიუთითებდა ივანე გვარამაძე). მუსხელ და ხიზაბავრელ მოხუცებს ერთად, ცეკვის – მესხური ფერხულის თანხლებით, შეუსრულებიათ ძირძველი მესხური სიმღერა „მამლი მუხასა“ (ამ სიმღერას ადგილობრივები მესხურ მრავალჟამიერს უწოდებენ). მათ თან ახლდათ გადამღები ჯგუფი საქართველოს ტელევიზიიდან და ეს მომენტი გადაუღიათ.

ბატონ შოთას მრავალმხრივ ფოლკორულ მოღვაწეობაში ასევე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი გალობას. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ახალციხეში ჩამოსვლამდე გალობდა თბილისში – სიონის ტაძარში. ეს მაშინ, როდესაც ეკლესიაში შესვლაც კი იკრძალებოდა.... ახალციხეში კი წმინდა მარინეს ეკლესიის გახსნისთანავე (1980 წლის 9 ნოემბერს გაიხსნა ოფიციალურად) შოთა ალთუნაშვილი თავის შვილებთან: კახაბერთან და პაატასთან ერთად გალობდა. მგალობელთა გუნდში ასევე იყვნენ: დები ლელა და ნუნუ ნაროზაულები, რუსუდან სისაური. მგალობლების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა ბატონმა შოთამ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონ შოთას სამივე ვაჟი: კახაბერი, პაატა და გოჩა მამის კვალს გაჰყვა. მუსიკის სიყვარული და ნიჭი მამისაგან ერგოთ მემკვიდრეობით. ამიტომაც იყო, რომ

→

შემოდგომის მწყერივით მოგოგმანე მეგრული პოემია

ლიტერატურული სიახლე!

პოეტ მიმოზა ცანავას თანამედროვე მეგრული პოეზიის წიგნს ,,გურშე ეშნაფალა“ – (,,გულიდან ამონაკვირტი“ – ვკითხულობ გატაცებით, ვტკბები და წმინდა გულისხმიერი სულიერებით, ჩემეულად მინდა შევეხო ქართული ბოლო პერიოდის პოეზიის თავისებურ ნიმუშს!

მეგრული პოეზიის უხუცესი წინაპარი უძველესი დროიდან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ – სურათ-ლექსს მოგაწვდით:

,,ბჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი, ჭიჭე–ჭიჭე
მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი“.

კოლხური ეს ლექს-კონდაკი უხსოვარი დროის არქაული მუსიკით, ათასწლეულებიდან შემორჩენილი საოცრება, ძეგლის ფრაგმენტი გახლავთ. მეგრული პოეზიის ღვიძლი წინაპარიდან წარმართული ღმერთ-მრავალი შემოქმედებითი შედევრი, რომელიც დაუდგენელია იესო ქრისტეს მოსვლამდე რომელ ათასწლეულშია შექმნილი. შესაძლებელია ლეგენდარულ კოლხ მედეამდეც..

საამო, მაგრამ უცნაურ ლექსთა ცოცხლი ორგანიზმის წყობაა ქალბატონი მიმოზას მეგრული, ახალი პოეზიის კრებული, ოსტატური რითმითა და ფორმთ, სტილით, რაღაც იდუმალი, არქაულ სიტყვათა მოძრაობით. ცხოვრებისეულ ეპიზოდთა მოქმედება და რითმათა სვლა წრიულია. საერთოდ, პოეზიის უკვდავ სულთა მოძრაობაში წრე დომინირებს შეუვალი, რადგან წრეშია მოქცეული სამყარო, მასში არსებული ყოველივე უმცირესი მოლეკულის ჩათვლით. რა თქმა უნდა, უფრო მძაფრი და მდიდარი აბსტრაქტული ტეხილი ხაზებითაა სავსე გენიათა პოეზია. სადაც თანმიმდევრულად მუშაობენ კვადრატები, კონუსები, პირამიდები, ცილინდრი და მრავალ გეომეტრიულ ფორმათა სხეულები ,რითაც იბადება კოსმიური ურთულესი ხელოვნების მრავალი სახეობა, მაგრამ ყოველი მათგანი ხომ მხოლოდ წრეშია განთავსებული. წრეთა ზე მუსიკალურ ჰარმონიას ახლავს უზარმაზარი კოსმიური შეუცნობელი კანონი. მაღალი აზროვნება ზესამყაროდან უხილავი წრეებით მოედინება.

ღვთიური წრის უმთავრესი დომინირებით, ქანდაკების ახალი მიმდინარეობა შექმნა მეოცე საუკუნის უდიდესმა ფრანგმა მოქანდაკემ ბრანკუსმა. წრის უსასრულობაში მოაქცია ამქვეყნად არსებული ნებისმიერი გეომეტრიული ფორმა ლეონარდო და ვინჩმა. ყოველივე ამდგვარი კოსმიურ ფორმათა მიგნებები დიდი ხნის უკანაა შეცნობილი. უცნაური პოეზიის ფონდი კოსმიური წესრიგით აწყვია ვარსკვლავოსანთა ულამაზეს ზედაპირზე, შემდგომ ზენა უზენაესობა ანაწილებს მათ და ეგზავნებათ მხოლოდ რჩეულ მგოსანთ. რითაც იქმნება უძველესიდან მოყოლებული დღემდე ნებისმერი ერისა და ენის პოეზია. უძველეს ენათა სახე და ორგანიზმი არ უნდა გაქრეს. ყოველი მათგანი უნდა შეუნარჩუნდეს ჩვენს პლანეტას და სამყაროს.

ხელოვანნი და ხელოვნების მოყვარულნი მიესალმებიან ამ გზას, რომლის დღევანდელობის მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე, საკმაოდ აღიარებული ქართველი პოეტი, ქალბატონი მიმოზა ცანავა. აუცილებლად მიმაჩნია აქვე მოვიხსენიო აწ გარდაცვლილი უნიჭიერესი პოეტი

და მრავალი მეგრული ლექსის ავტორი ლაშა გახარია, ასევე შესანიშნავი მოქართულე პროზაიკოსი და პოეტი მურთაზ ჩახავა. რა კარგი იქნებოდა საქართველოში ყველას რომ შეეძლოს ქალბატონი მიმოზას ახალი მეგრული ლექსების დედანშივე წაკითხვა. ჩვენი კუთხური ენები ხომ მთავარი ქართული ენის და ნიჭის სიმდიდრეა. ქართული უკეთილშობილესი და მზის ქვეშ მონავარდე ირემივით ენის, ათასწლოვანი უზარმაზარი მუხის ერთ-ერთი ტანსაღი ტოტია – მარადიულის მცნებით.

წარმოვიდგინოთ, ყველამ რომ ვიცოდეთ შორეული იდუმალების მაღალხმოვანი სვანური ენა და სხარტი აფხაზური, კამკამა ზღვის ზედაპირზე მოცურავე მეგრულ-ლაზური, უფრო მარად ურღვევი ქართველთა საზოგადოება ვიქნებოდით და ჩვენს მტკიცე ,მთლიან ორგანიზმში გარეშე მტერი ვერასოდეს შეაღწევდა. ქართულ ენათა კოსმიური სიმდიდრე და უცხო სხეულთა შეუვალობა ჩვენვე უნდა განვამტკიცოთ, რათა დაუნდობელ მტერს გაურკვეველ ქვიტკირის კედლად აღვემართოთ.

ვარსკვლავ მრავალი საოცრება, კავკასია, რამდენიმე ენათა და კილოკავთა ფანტასტიური საგანძურია. ნებისმიერ ენაზე შექმნილი ლექსი, კაცთაგან ხელშეუხებელი ხელოვნების ნიმუშია, ხოლო დედაენის სიღრმისეული თარგმნა ურთულესია, ცალკე შემოქმედებითი პრობლემაა. აი აქ მყუდროობს ყოველი ენის, ლექსის და ავტორის ინდივიდუალური ნიჭის საიდუმლეობა. გულდასმით წაიკიხეთ, მეგობრებო, ქალბატონ მიმოზა ცანავას უმშვენერესი და შემოდგომის მწყერივით მოგოგმანე მეგრული პოეზია და უმალ აღმოაჩენთ, ძველ კოლხურ და თანამედროვე ქართული ენის ორგანულ, ღვიძლნათესაურ ურთიერთობათა საკვირველ სინამდვილეს.

პლანეტის უმცირესი ენის თითოეულ სიტყვაში საკუთარი ვარსკვლავის ზე ძალა და სამყაროს თვისებებია ჩასმული და ჩანერგილი (მსოფლიოს წამყვან ენათა სიტყვებში ხომ უზომო ზეძალით გიზგიზებს კოსმიური, იდუმალი ენერგია). აქედან გამომდინარე მათი მარადიულობის გარანტი ზესამყაროდან იწყება.

პლანეტაზე მკვდარი ენების ტრაგიკული ისტორია ხომ ბარბაროსული და სატანური ეპოქების შედეგია. კოსმიური ეპოქების ზნე კანონის უარყოფის და აღმოფხვრის ამოუხსნელი შეცდომაა.

უთუოდ ამის გამო ისჯება ხშირად ჩვენ პლანეტა და საზოგადოება მარად უპატიებელი დანაშაულისაგან.

ყოველგვარ ხელოვნებას, ლტერატურას, თუ მეცნიერებას ღვთიური სიკეთე და სიყვარული უნდა მოსავდეს. ნაღდი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით მდიდარი ადამიანებისგან იქმნება. ვერ წარმომიდგენია სახარებას, თორას, ყურანს თუ სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მოძღვრებად მრევლს უკითხავდეს უკეთური ადამიანი. ამდაგვარი ბუნების და კანონისაა ხელოვნების ნებისმიერი დარგი და მხოლოდ უფლისმიერთაგან იბადება ნაღდი შემოქმედება.

ქალბატონ მიმოზას პოეზია სიკეთით, სიყვარულით, მშვენიერების მაღალი შეგრძნების გამოხატვის, ასევე თანდაყოლილი პატრიოტიზმის და თანამედროვე პიროვნებათა სამართლიანი დაფასების პოეტური ენერგიაა, რომელიც თანაბრად და განურჩევლად ათბობს თითოეულ ჩვენთაგანს. აღსანიშნავია ქალბატონი მიმოზას პოეზის ინდივიდის შემოქმედებითი ძალა და გრძნობათა ხიბლი, მაისის საღამოს ზღვის ნიავივით ქროლავს მკითხველის არსებაში.

ამ მშვენიერ კრებულს, რომ ვკითხულობდი, მაკვირვებდა ნაწარმოების სხეულის მრავალფეროვნება, როგორც იდეურად, ასევე განწყობლებათა სიუხვით. პირადად დამატკბო ლექსის თვისება მთლიანობამ, თავისებურმა ჰარმონიამ და ქართული ზომის იდუმალებათა შეგრძნებამ, რითმათა სილბომ, სხვადასხვა ეპიზოდთა მოქმედების ტაქტმა, კოლხურმა სევდამ, რომლითაც ზეცაა გაჟღენთილი, დარბაისლური თანმიმდევრობით რომ მიმდინარეობს. მრავალ ლექსთა სივრცეში თითქმის ყველგან მუსიკის ხაზთა ჟღერადობა, ჯადო, იდუმალების წრიული ტრიალია. უამრავ თემათა მოქმედების და მხატვრული სახეების იქით, უხილავი, გეომეტრიულ ფორმათა არქიტექტონიკის მრავალჯერადი მონაცვლეობაა. უცნაურია, მაგრამ ზოგიერთი ლექსის კოლორიტში კოლხური ხოხობი მელანდებოდა ულამაზესი, თითქოსდა, ჭვავის მწიფე თავთავთან ოქროსფერ ყანაში ფრთებგაშლილმა რომ შეირბინა, ანუ აფერადებულ მაყვლოვანში ფრთხილად და ამაყად თავაწეული შევიდა და გარემოს მიყურადებული გაირინდა. ჩვენს ირგვლივ გაბატონებული კაცობრიობის უბედურების მომტანი, მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში არა გვაქვს უფლება ქართული მშობლიური ნებისმერი კილოკავი თუ კუთხური ენები უგულებელვყოთ. ნიჭიერმა ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა კარს მომდგარ მოსისხლე მტრებს გრანიტის სიმტკიცის ხელოვნება და მეცნიერება უნდა დაახვედრონ. ჩვენ საქართველოში გვჭირდება მხოლოდ მეგრული პოეზია კი არა, გვერდიგვერდ უძველესი და უდიდებულესი სვანური სიღრმისეული მშვენიერების და შორეული ისტორიის მატარებელი ლაზური, ზღვასავით მოციმციმე და მთებს გარდამავალი აფხაზური. საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან ენობრიობის ზღვა სიტყვათა სიახლეები მუდამჟამს ცოცხალ მარგალიტებად უნდა ატაროთ ჩვენო მწერლებო და მგოსნებო, ქართულ წმინდა მიწაზე (უთუოდ სიმართლეა, რომ ჩვენი მამული წმინდა მიწაა, რადგან არცერთ ერს მსოფლოში იმდენი სისხლი არა აქვს გაღებული, საუკუნეების განმავლობაში უფლის გულისთვის, რამდენიც ქართველ ხალხს), რითაც უნდა შექმნათ უკვდავი ხელოვნების შედევრები.

პოეტი ქალბატონის მიმოზა ცანავას თანამედროვე მეგრული პოეზის ულამაზესი კრებული ,,გურშე ეშნაფალა“ (,,გულიდან ამოსაკვირტი“) – ქართული ენის მარადიულობის ერთ-ერთი ცოცხალი ორგანიზმთაგანია. წაიკითხეთ და ისიამოვნეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო!

რეზო ადამია,
მხატვარ–პროზაიკოსი

მათ დაამთავრეს თბილისში მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სასწავლებელი. კახაბერმა და გოჩამ საგუნდოსადირიჟორო, პაატამ კი ვიოლონჩელოს კლასი. სამივე მათგანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა მშობლიურ ქალაქშიც და სხვაგანაც... კერძოდ, აღსანიშნავია ის, რომ პაატამ 1981 წელს ახალციხის N 1 საშუალო სკოლაში, IX-X კლასების მოსწავლეთაგან (გოგონათა და ვაჟთა მონაწილეობით), ჩამოაყალიბა ხალხურ საკრავთა ორკესტრი. მისი უმცროსი ძმა გოჩა იყო ორკესტრის დირიჟორი. უფროსი ძმა კახაბერი კი ხელმძღვანელობდა იმავე სკოლაში არსებულ ხალხური სიმღერების გუნდს. ამჟამად გოჩა და კახაბერი თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან საზღვარგარეთ – ჰოლანდიაში. 1983 წელს კი პაატა ალთუნაშვილის ხელმძღვანელობით, ქალაქ ახალციხეში ჩამოყალიბდა მესხეთის ფოლკლორული ვაჟთა ანსამბლი, რომელსაც ცოტა მოგვიანებით ეწოდა ,,დიაოხი“. მის მიზანს იმთავითვე წარმოადგენდა მესხური სიმღერების პოპულარიზაცია. ანსამბლი ძირითადად ასრულებდა შოთა ალთუნაშვილის მიერ აღდგენილ მესხურ ხალხურ სიმღერებს. ანსამბლის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1994 წლის მაისში, როდესაც კიევში გამართულ ქართული კულტურის დღეებში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ,,დიაოხის“ მიერ მომზდებულ უკრაინულ ფოლკლორულ სიმღერას: ,,ოინა გორი, ნაგორი“, რომელიც ანსამბლმა კიევში გამგზავრების წინ შეისწავლა. პაატა ალთუნაშვილმა აღღოიანად შეარჩია იგი და უკრაინელთა შორის მეტად პოპულარული აღმოჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კულტურის დღეების საორგანიზაციო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა ანსამბლს. ამრიგად, ბატონმა შოთამ თავისი შვილების სახით ქვეყანას აღუზარდა ნიჭიერი და ღირსეული შვილები.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში, კულტურის სფეროში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც თავისი წვლილი არ შეეტანოს ნიჭიერ ლოტბარსა და მომღერალს... მისი წვლილი შეუფასებელია ამ მხარის წინაშე. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას კარგად იცნობდა ქართველი ინტელიგენცია და შესაბამისად მაღალ შეფასებასაც აძლევდა. ბატონი შოთა სამცხე-ჯავახეთში ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. შეიყვარა მესხეთიც და მესხებიც. აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელიც 2005 წლის 11 დეკემბერს... მესხეთმა იმთავითვე ღვიძლ შვილად მიიღო ღირსეული მამულიშვილი. მის ნიჭიერებაზე კი დღემდე ლეგენდები დადის... მისი მეგობარი ბატონი ომარ ჯაყელი აღნიშნავს: „ჩვენს ქალაქს სტუმარი არასოდეს აკლდა. თუკი ვინმემ ახალციხე შეიყვარა, ამაში შოთას დიდი წვლილი მიუძღვის. მღერადა გადასარევად, განსაკუთრებით ქართულ ფოლკლორს... ასევე მღერადა არიებს – კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო, კულტურული, ინტელიგენტი. თბილისური კილოთი საუბრობდა... მოვლილი ჰქონდა სამცხე-ჯავახეთის

სოფლები და იწერდა მესხურ სიმღერებს. იმავდროულად იყო მეურნე კაცი, მისი ეზო ნამდვილი ბაღნარი იყო...“

უნდა ითქვას ისიც, რომ დღემდე, სამწუხაროდ, ამ ღირსეული ადამიანის საპატივსაცემოდ, რაიმე სერიოზული ღონისძიება არ განხორციელებულა... არ უნდა იყვნენ დავიწყებულნი ის ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურნენ სამშობლოს, თავის ხალხს და უანგარო მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში...

ცოტა ხნის წინ ახალციხის ციხის ციტადელზე მოხდა ვიდეო რგოლის „ჩემი მესხეთის“ წარდგენა. იდეის ავტორი და პროდიუსერია ბატონ შოთა ალთუნაშვილის შვილი პაატა. მან, ჯერ კიდევ გასულ წელს, მიზნად დაისახა მამის საპატივსაცემოდ – დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად მიეძღვნა ვიდეო რგოლი. რამდენადაც ვასო კვინცხაძე ბატონ შოთას მეგობარი, თანამოაზრე და კოლეგა იყო, ბატონ პაატას უნდოდა რომ სწორედ ის ყოფილიყო ლექსის ავტორი. და კიდევ, ვასო კვინცხაძე ხომ კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსის ავტორია – „ვარძიაშია დღეობა დიდი“, რომელიც სრულიად ახალგაზრდამ დაწერა. მასზე დაწერილი სიმღერა კი დღემდე ახდენს დიდ შთაბეჭდილებას მსმენელზე. ბატონმა ვასომ ლექსში – „ჩემი მესხეთი“, დიდებულად წარმოაჩინა მესხეთის მდიდარი ისტორია. მკითხველს ტკბილად და სიამაყით მოუთხრობს ამ ძირძველი მხარის ყველა ღირსებას. გვინდა საზოგადოებას წარვუდგინოთ მოხსენიებული ლექსი.

ჩემი მესხეთი

დილას ვარდი და ცისკარი ამშვენებს,
სამშობლოს მესხეთის ლამაზი მთა-ბარი,
ახალციხეს კი ბრწყინვალე სამრეკლო,
ძველი და ახალი ქალაქის.

ზარზმა უმღერის ვანსა და ვარძიას,
უწმინდეს ნინოს ჯვარს – ტბა-ფარავანი,
ბასიანისკენ მიმავალ მხედრობას
ფეხშიშველი ლოცავს თამარი!

ისევ დავძახოთ, ჰერიო ბიჭებო!
ვიმღეროთ მამლი მუხასაო!
დე, მუდამ სითბო და კვამლი სდიოდეს
ჩვენს კერასა და ბუხარსაო!

აქ არის თამარის სული და ხატება!
შოთა რუსთაველის ნატერფალები,
ქმნიდა უკვდავებას... „ვეფხისტყაოსანს“
გამიჯნურებული თვალებით.

ისევ დავძახოთ, ჰერიო ბიჭებო!
ვიმღეროთ მამლი მუხასაო!
დე, მუდამ სითბო და კვამლი სდიოდეს
ჩვენს კერასა და ბუხარსაო!

მკითხველი დამეთანხმება, რომ ლექსს გულგრილად ვერ ჩაიკითხავ, მესხეთის ისტორიულ წარსულში გაბრუნებს და, იმავდროულად, დაგაფიქრებს მომავალზე...

მესხეთი არ არის განებივრებული ვიდეო რგოლებით, ფართო საზოგადოებას ის ჯერ კიდევ არ უნახავს... მინდა პატივისცემა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც გაიზიარეს ბატონ პაატას იდეა და ამ საქმეში გაწეული თავიანთი დახმარებით პატივი მიაგეს ბატონ შოთა ალთუნაშვილის ხსოვნას. უპირველესად, უდიდესი მხარდგომა გამოიჩინა ადგილობრივმა ხელისუფლებამ: ქალაქის მერიამ, საკრებულომ, სამხარეო ადმინისტრაციამ. ასევე უდიდესი მადლობა ყველა იმას, რომელთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ეს შესანიშნავი ვიდეო რგოლი: ლექსის ავტორს ბატონ ვასო კვინცხაძეს, კომპოზიტორს ზურაბ ჩინჩალაძეს, სოლისტს დავით დარბაიძეს, იდეის ავტორსა და პროდიუსერს პაატა ალთუნაშვილს. ეს ვიდეო რგოლი ხომ მესხეთის ერთგვარი მატეანეა....

დიახ, მიმდინარე წელი ბატონ შოთა ალთუნაშვილის საიუბილეო წელია, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მისი ნახევარსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომა სამცხე-ჯავახეთისათვის შეუფასებელია. დღესაც ყველას კარგად ახსოვს და იგონებენ მას. ვფიქრობთ სამარადჟამოდ უკვდავებისათვის კარგი იქნება, თუ მის საცხოვრებელ სახლს გაუკეთდება მემორიალური დაფა, რომელიც ისევე დაამშვენებს ქალაქს, როგორც ბატონი შოთა ამშვენებდა მას თავის დროზე... მან ხომ ეპოქა შექმნა ხალხური მუსიკის სფეროში. ვიტოვებთ იმედს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მის საპატივსაცემოდ ქმედით ღონისძიებებს კვლავ განახორციელებს.

ნატო ყრუაშვილი,
პროფესორი

თუჩეჯის ომიდან სამხრეთ საქართველოში ბოგო-ჯიჭეჯის ომტაცეჯისა და ტუჯეეჯით ბაჭიოჯის ომესახეჯ

ი.ს. ნებიერიძის მოგონებიდან

(წაწყვეტი იოვანე ნიბიერიძის მოგონებიდან)

„... ესოდენ ეკმაოდეს თხზულებასა ამასა ჩემსა, რომელ ვარ მოწამე წინაშე თქვენსა, და განსაკუთრებით მწურთნელი მემჯიდრეთა ძეთა ჩემთა, ჯერეთ მცირეთა წლოვანთა გაბრიელისა და რაფაელისათა, და ასულისა ჩემისა გაიანესი, რომელთა ვამცნებ სასტიკად, რათა დაიმარხონ გონებათა შინა თჳსთა ყოველნი მოძღურებანი, სწავლანი და დარიგებანი ჩემნი, და ჰცხოვრებდნენ სიმართლით და აღორძდენ შიშსა შინა ღუთისასა, რამეთუ ყოველი ბედნიერება სულიერად და ხორციელად მონიჭებულ არს ღუთისა მიერ, და არა ძალითა თჳსითა, სულიერად ამისთჳს, რათა არა შეჰცოდონ ღმერთსა და არა განარისხონ გულის წყრომაჲ მისი, რომელიცა აღმოფხურის სახლსა ვიდრე საფუძველადმე; ხოლო ხორციელად ამისთჳს, რამეთუ უხვითა წყალობითა ღუთისათა, აღივსების სიმრავლითა და წარმატებითა დღითი დღედ; ხოლო ზომიერებითი ცხოვრებაჲ, უფროს საქებელ არს საზოგადოთა შინა, ვიდრეღა მდიდრული ცხოვრებაჲ, ვითარცა მოკლება სიცოცხლისა და დღეგრძელობისა, და გაოხრება სახლისა და ოჯახისა (რომელსა ზედა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ ახალციხელი იოანე სტეფანეს-ძე ნებიერიძე). მამაჩემის მამის სახელი იყო ანტონაჲ, ნებიერაშვილი[1]), გამიგონია, რომ ვალესა და დიდ-პამაჯს შუა ტყეში მტერობით ვალელებს რეცათუ შორეულად მოყურებს მოუკლავსთ და იქ მარხია; დედაჩემის სახელი იყო თერეზინა და ამის მამისა სახელი ანტონა ჯანათი, ანუ ჯანაშვილი, და ეს მარხია ზემო საყდრისა და ყულლის[2]) შუა ადგილს გზის ახლოს პატარა სასაფლაოზედ. ვჰგონებ გარდაიცვალა იგი 1827-სა წელსა მარიობის თვეში; ჟამსა ექსორიობისა ახალციხის კათოლიკეთა მღუდელთა, რომელნიც სომხების შეგიზგიზებითა და ამტერებითა კათოლიკის ერსა ზედა, სტამბოლის სულთან მაჰმუდმან გამოჰსცა უქაზი, დატყვევებად ყოველთა კათოლიკის მღუდელთა, თჳსსა საბრძანებელსა შინა; და ახალციხის ფაშამან შესხნნა იგინი ციხეში რავდენსამე თვეს (ორსა თუ სამ თვეს) და არა ჰქონდათ ნებაჲ დამარხუად მიცუალებულთა; ამისთჳსცა ჯანათ ანტონაჲ იგი დასაფლავდა ხალხთაგან ლოცვითა და ვედრებითა თჳინიერ მღუდლისა; ხოლო შემდგომად განთავისუფლებისა მათისა, შესრულდა ყოველი ეკკლესიისა წესი და კანონი მისზედა: – ხოლო ოდესცა აღმოჩნდა მზაკურობითა იდუმალი ჰაზრი სომეხთა, რეცათუ სომხის კათოლიკენი არიან სომეხთაგან მოქცეულნი, და რათამცა შეერთდნენ იგინი კვალად სომეხთა თანა; და რა განითქუა ამბავი ესე შეიწროებისა, ჰრომის წმინდა პაპი და ევროპიის კათოლიკეთა მეფენი, აღიძრენ ამა საგანსა ზედა, და წინააღუდგნენ სულთან მაჰმუდსა, რომელმაც ჰსცნა თჳსი განუსჯელი შეცთომაჲ და აღვიარა წინაშე მათსა სინანული და სთხოვა მოტევებით შენდობაჲ. რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ სომხის პატრიარქთა გარდამ(ი)ბირეს მე დაქთამებითაო.

ადგილი ჯანათ ანტონას დამწვრის სახლისა, მდებარეობს აწ ქვემო საყდრის შკოლის ახლოს პირდაპირ რომ იყო დიდი სახლები და მაღალი დარბაზი, სადაც ციხის მეჩეთისათჳს თჳთო წყვილი სანთლები ყოველ წლივ, სიგრძით ვიდრე ცხრა ადლამდე იქ ჩამოისხმოდა მესანთლე გულასპათ ხანუმასაგან, ამავე სახლის მეზობლისაგან, თათრის ფაშისათჳს; და ეს ადგილი უანდერძა და შეჰსწირა მას ანტონის მეუღლემან იელისაბედმან (ელისაფეთმან) ქვემო წმინდა იოანე ნათლისმცემლის საყდარს, და თჳთონ მარხია ახალციხის გარეთ სასაფლაოზე, და ეგრეთვე მარხია დედაჩემი თერეზაი (თერეზინე). ჩემი ძმა მელქონაც, და ჩემი ორი წვრილი ვაჟები კონსტანტინე და მიხაილ, რვა რვა თჳსა გარდაცულილნი შაჰყულიანის ყანასთან დამარხულნი თერეზინას საფლავის ქვებზედ და კოსტანტინის ვერძის ქვაზედ, ოცდახუთი მანეთი მე დამიხარჯავს: მამაჩემის დედაც ელენე და დეიდაჩემი მარიამიც, რომ იყო ზემო საყდრის მოლოზანი, იქ მარხია, – მამაჩემი სტეფანე იქნება ახლა თითქმის ოთხმოცის წლისა, – და ჯერ ერთის წლისა არ ყოფილა (ძუძუმწოვარი), რომ იმისი მამა ანტონაჲ (პაპაჩემი) პამაჯის ღელეში მოუკლავსთ ჩვენ(ს) შორეულ მონათესავებს, თხუთმეტისა ანუ ოცი ყურუშის ვალისათჳს: ხოლო ბიძაჩემი ჯანათ პეტრეჲ დამრჩვალა შავ ზღვაში.

ან ყოვლად მოწყალეო ღმერთო! გევედრები თუალთცრემლოვანი ჩემის ცოდვილის პირითა, ულხინე მათ ღმერთო, ულხინე, და ნუ თანა წარსწყმედ უსჯულოებათა შინა მათთა, შეიწყალენ სულნი მათნი და დაუმჯდრე საუკუნო განსვენებაჲ, რამეთუ მრავალ არს მოწყალება შენი ეგრე ვითართა უბედურად გარდაცუალებულთა სულთა ზედა, ამინ.

ხოლო ბიძა იგი ჩემი ჯანათ პეტრეჲ იყო დაქორწინებული ივლიტელი ძუძუნას ქალზე მარიამზედ; და ახალციხე რუსმან დაიპყრა 15-ს აგჳსტოს (მარიობათ) 1828-სა წელსა. მაშინ ციხეში იყო ნაჩალნიკად გვარით ბებუთოვი, სომეხი, რომელმანც მზაკურობით განსცა ახალციხე აჭარის აშმად ფაშასა, რომელიც დაესხა თავისის აჭარის ჯარით ხორციელისა ანუ ყველიერის კვირაში თებერვლის წინა დღეებში 1829-ს წელსა ახალციხეს, მოაოხრა ქალაქი, წარსტყვევნა ვიდრე ოცსულამდე, და მრავალნიცა მოჰკლეს ახალციხისა მცხოვრებთაგანნი ციხის წინათ ყოფილს მეჩეთში, სადაც შიშისა გამო შეკრებილ იყუნენ, რამეთუ ციხის კარები იყო დახშულ და დაკეტილ, და აღკრძალულ იყო შესვლად მუნ; ხოლო ხალხი როდესაც იყო დიდს საცოდავობაში, რამეთუ ღაღადება მათი აღიწეოდა ზეცამდისინ, მაშინ შებრალებითა ციხის კედლებიდამ თოკის აწევით, აიყუანდნენ ციხეში, ვინც რომ მოასწრობდა გადარჩენას, მინამდისინ მოეშველებოდა ტფილისიდამ რუსის ჯარი; და რა რომ შემოვიდა ქვეითი სალდათის ჯარი ახალციხეს, მაშინ აჭარელი შუაღამისას გაიქცა, და რავდენიმე სულიც ტყვედ წაასხა აჭარას; ამ ტყეებში იყუნენ ივლიტელი ჩვენი მძახლის ძუძუნას შვილები სიმონა, 13 წლისა, და ოჯანოჲ, 10 წლისა, და ამათი დაჲ მარიამი ბიძაცოლაც; და რა რომ ძუძუნაჲ და თავისი სიძე პეტრე ჩავიდნენ აჭარას მათის დასახსნელად, ბიძაცოლაჲ კი დაიხსნეს, მაგრამ სიმონაჲ და ოჯანო ნაიყვანეს სტამბოლში გასასყიდად, და როდესაც ძუძუნაჲ და პეტრე ჩასხდნენ გემში შავს ზღვაში მოსაძებნად იმ ვაჟებისა, მაშინ გემში ვისგანმე ღალატობითა ბიძაჩემი პეტრე ჩავარდნილა ზღვაში და დამრჩვალა და ამისი სიდედრი ძუძუნაი არავინ იცის თუ გასულა სტამბოლში თავის შვილებთან, ანუ თუ თჳთონაც დაღუპვილა ზღვაში უცნობელია; და ბიძაცოლა მარიამი რავდენსამე წელს ივლიტას იყო, და რა რომ მოუკვდა ამას ქალიშვილი და დარჩა თჳთონ უშვილოდ და ქვრივად, ესეც წავიდა სტამბოლს; და თქვეს ხალხმან[3], თუ გათათრებულან ძუძუნას შვილები სტამბოლშიო.

აჭარელი რომ დაესხა, ახალციხის ხალხი ციხის გარეთა მეჩეთში შეიკრიბა, მაშინ ჩვენებიც იქ შევიდნენ. დედა თერეზინაჲ, მისი დაჲ მარიამი (დეიდაჲ) და ამისი ქალი სარაჲ და მეც და ჩემი ორი ძმებიც პავლე და პეტრე; მე მაშინ ვიქნებოდი ცხრა ანუ ათის წლისა, პავლე იქნებოდა ექვსისა ანუ შვიდის წლისა და პეტრე კი ძუძუმწოვარი იყო; მაშინ ახალციხელები სილაჲთ[4] ანუ საომარის იარაღით მორთულნი იტყუნენ, და მეჩეთიდამ ანუ თათრის ჯამიდგან ებრძოდნენ აჭარლებს, მაგრამ აჭარლებმან მეჩეთის რკინით შეჭედილი კარები დაძალეს, გააღეს და შემოცვივდნენ შუაღამისას, მაშინ გააქრეს სანთლები, და დაჭრილი აჭარლები თავსისხლით შესვრილნი, ბაყაყებსავით ცოცავდნენ მეჩეთში, მოსატაცად ყმარწვილებისა და საქონლისა ანუ ქონებისა, და ბევრი სულიც ჩვენგანი დახოცეს იმათ და ბოლოს გასტეხეს ხალხმან მეჩეთის რკინის ფანჯარა და გაცვივდნენ, ციხის კედლებისკენ, და საცოდავათ ეხვეწებოდნენ ციხეში აყვანას, და სალდათები ჩამოჰკიდავდნენ თოკსა და ასწევდნენ ციხეში. დედამაც მოიტაცა საჩქაროთ ხოჩიჩი ძუძუმწოვარი ყმაწვილი პეტრეჲ, რამეთუ შეებრალა დაგდება მეჩეთში, გამოვიდა ფანჯრიდამ, და თოკით ამოყვანილ იქნა ციხეში, მაგრამ აჭარლები კი ისროდნენ თოფსა და თოკით აწევაშიაც ბევრი დაიხოცნენ ტყვიითა; პირველად მოიტაცეს პავლე და მერე თავსისხლიანმა აჭარელმან ჩოჩვით ხელი წამავლო მე, და დედაჲ გამწარებული ტირილით მეუბნებოდა, წაჰყევ შვილო, წაჰყევ იმას, და გამომიყვანა მეჩეთიდამ ტირილითა და ვაებითა, და მანუგეშებდა: ბიჭო, ნუ ჰსტირიო, კაი ბაღანა ხარო; და რა რომ გამომიყვანეს მეჩეთიდამ, ვიღაცა ქალმან მომცა ხელში ერთი პატარა აბუხტი[5] და მეჩეთის პირდაპირ დუქნებში, სადაც იყვნენ სხვანიცა ტყვეთ, იქ შემიყვანეს მეც, და როდესაც რომ ვსტიროდი, ახალციხელები მეუბნებოდნენ: ნუ სტირი შვილო, ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა, მამაშენი დაგიხსნის აჭარელის ხელისაგან. მაშინ მამაჩემი სტეფანე წასული იყო ქუთაისს, და წაელო თანვე გასასყიდად სახლის ავეჯი სპილენძეული ჭურჭელი, თათრებისაგან ნაყიდი, საამხანაგოდ ყალაიჯიანთ[6] ოჰანჯანასთან, რომელსაც უძახდნენ თერძი გრძელი ოჰანჯანაჲ, რომ იყო მამაჩემისა დიდი ხნის ამხანაგი, კაცი პატიოსანი და შეგნებული, ენა მჭარტალი და კეთილის მყოფელი, ღმერთმან აცხონოს, ღმერთმან საუკუნო განსვენება დაუმჯდროს იმის სულსა, და იმის მეუღლე სარასაც. ესეც პატიოსანი ქალი იყო – იქ დუქანში დავრჩი რავდენიმე დღეს და ჩემი საჭმელი იყო ის აპუხტი, და სიმწყურვალით ვირჩობოდით ყველანი, მაგრამ დუქნის ფანჯრის წინ იყო ცოტა-ცოტა თოვლი გაყინული, და იმას ვსჭამდით წყლის სასმელად, რადგანც რომ სასმელი წყალი არ იშოვებოდა, და თოფის სროლისაგან ვერავის მოჰქონდა წყალი, მერმე გამოგვიყვანეს იმ დუქნიდამ, და შეგვიყვანეს დიდი[7] აბანოს პირდაპირ ხანში[8], აქაც დავრჩით რავდენსამე დღეს – ერთ დღესაც მომაგონდა, ავედი ხანის ბანზე და კალთით თოვლი მოვჰკრიფე სასმელად, გამოვიხედე გამოღმით და დავინახე პირდაპირ ჩვენი სახლი, გავიქეცი და შევედი და რა რომ მესმა ხმაურობა აჭარლებისა, შიშით შინაგან ოთახში აღარ შევედი, გამოვედი და ჩვენი მეზობლის იეღინარათ სახლში შევედი, სადაც იყვნენ შეკრებილნი ერთად ბებრები დედაკაცები და ჩემი ბაბუა ჩემებიც, ესე იგი მამაჩემის დედა ელენე რომ იყო კოჭლი და ჯოხით დადიოდა, და მეორე დედაჩემის დედაი ეღსაფეთაჲ, და რომ დამინახეს მე, იეღინარათ სიმონას დედამ იეღინარამ თქვა ჩემთჳს, თუ ვერ დავმალავთ ამ ყმაწვილსა სახლში, გვეშინიან, აჭარლები დაგვესხმიან და სულ ერთიანად დაგვხოცენო. და იეღინარაჲ იყო აჭარის ბეგისა ნაცნობი და იმისი სახლობა გადარჩა აკლებისაგან. მაშინ ბაბუაჩემმან იეღსაფეთმან გაიხსნა გული, და სიმწრით ორისათვე ხელებით იფხანა გულზედ და მეუბნებოდა გამწარებული: ოჰ, შვილო, რა ვქნა, რა გიშველო! გული მინდღეღვრის სიმწრისაგან, იეღინარას ეშინიან შენი დამალვა ამ სახლში. მეორე ბაბუაჩემი და ელენეც ჰსწუხდა ჩემზედ და მითხრეს ორთავემ: წადი შვილო ისევ ხანში, შენს აჭარელთან, მამაშენი მოვა ქუთაისიდამ და დაგიხსნის; მეც იმედ გარდაწყვეტილმან ისევ უკანვე დავბრუნდი სახლში, თანვე კალთაში თოვლით და შევედი ხანში, მითხრა აჭარელმან: სად იყავ აქამდისინ. მეც ვუთხარი თუ, თოვლს ვჰკრეფდი. და სწორეთ იმ ღამეს რუსის ჯარიც შემოვიდა ახალციხეს, და აჭარლები შუა-ღამესვე გაიქცნენ: – აქ მომაგონდა დავიწყებული ერთი მუხლი: როდესაც რომ მეჩეთის დუქანში ვიყავი, გამოვიყურე შუადღისას, რომ ორმა აჭარელმან გამოიყვანეს მეჩეთის ოთახებითგან ერთი კათოლიკე კაცი სახელათ ათეჲ, რომ იყო თერძი და შეიარაღებული ბრძოლის დროს აჭარლებზე, მოიყვანეს საყასბო ადგილს, იქვე ახლოს დააყენეს ფეხზე და ერთმა აჭარელმან გაუწყო იმ ათეს წელში წყვილი დაბანჩა, შემოარტყა წელზე სატევარი და ყოველი საომრის იარაღით შეჰმოსა; ხოლო ათეჲ ეხვეწებოდა იმას თუ: ნუ მომკლავთ, სიკვდილამდისინ მოგემსახურებიო თქვენ. მაგრამ აჭარელი კი ეუბნებოდა იმას: ბიჭო! აბა დაიხედე წელზედ, თუ რა კარგად გიხდება იარაღიო. და მეორე აჭარელი მოშორებით და ფარულად მართავდა თავის დაბანჩას გატენილსა ტყვიით, და მოვიდა ათესთან, აუწია მარჯვენა მკლავი და უშინჯამდა ღლიას და ეტყოდა: ბიჭო! არ დამიმალო ჩემი ტყვია და სალავათი[9]თქვიო, და ისიც ამბობდა: ღმერთო, მაჩუქე ჩემი ცოდვაო[10] და მაშინვე ჰცა ღლიაში ტყვია. ერთი კი დაიბღავლა ათემან, იქვე წაიქცა და იქვე ყელი გამოსჭრეს. ათეს გარდა ბევრი სხვა დახოცეს, რომელიც თვალით არ მინახავს.

ამის მერმე აჭარლებმან გამომიყვანეს ახალციხიდამ და ჯარი შეიკრიბა ივლიტას ღამით[11], და რადგანც რომ ჯერ ისევ ზამთარი იყო და მარტო წინით ფეხშიშველი ვიყავ, და აჭარის მთაზე ქვეითი თოვლში სიარულითა, სიცივემ და ყინვამ ფეხები მომძრა. და რა რომ ჩამიყვანეს აჭარას სოფელში ზენდიდს, ჰაერი დათბა, ფეხებიც გამითბა და მოძრულად დამრჩა, და რავდენსამე კვირას ველარ ვადგამდი ფეხსა დედამინაზედ, და ჩოჩვით დავდიოდი ოთხზე, მუხლებით და ხელების დაწყობით ადგილზე; ბოლოს აჭარლის დედაკაცმან მარილის წყალში ფეხები ჩამაყოფინა ორ სამგზის და კარგად შევიქმენ და გამიმთელდა ფეხები; მერე მიმყიდეს სხვა აჭარელს სოფელში ორცვას, სახელით გულო აღას, რომ იყო იესირჯი, ტყვეების მომკრეფი და გამსყიდველი სტამბოლში და მისირში ანუ ეგვიპტეში, ფასად, მგონია, ცხრა ანუ ათ თოფ ყუთნად.

და რომ მამაჩემი სტეფანე მოვიდა ქუთაისიდამ, სპილენძეულის გაყიდვით ექმნებოდა ათ თუმნამდინ ფული ოჰანჯანასთან საამხანაგო და სხვა ქოთნითაც დაფლული ჩვენს სახლში ცოტა-ოდენი ვერცხლეული და ფული.

რუსმან დაიპყრა ახალციხე ზემო საყდრის მხრიდან, და როდესაც თათარი ესროდა ციხის შუა ადგილიდამ, ჯამისა და შადრევნის აქეთა მხრიდამ ზარბაზნის ტყვიასა გულლასა,[12] რადგანაც რომ ტავშანთაფითგან[13] ვერ შემოვიდა რუსი, ადგილის უმარჯვობისა გამო, მაშინ თათრის გასროლილის გულლის დაცემულის ადგილიდამ, რუსმან უხერხა და დაუმარჯვა თავის ზარბაზნის გულლა და სწორეთ ციხის დიდ ზარბაზნის პირში ჩაჰსცა და დაუცო პირი, ასე რომ თათრებმან ის რუსის გულლა ველარ გამოიღეს თავიანთის ზარბაზნისაგან და თქვეს სასოწარკვეთილად, რომ აწ ღმერთი აღარ გვაუფლებს ჩვენ ახალციხეზედანო; შეჰკრეს პირობა და დიდის პატივით მიართუეს ციხის კარის გასაღებები რუსის ჯარის მთავარ უფროსსა პასკევიჩს; და რა რომ რუსის ჯარი შემოვიდა ახალციხეს, წინ წინ მოუძღოდა ჯარის უფროსი კათოლიკე ვინმე დასაცველად ქრისტიანის ხალხისა; ხოლო მოიწია რა ზემო საყდრამდინ დღისით, შუადღის მერმე 15-ს აგვისტოსა, 1828 წელსა, მაშინ ერთმანთათარმან, სახელით გულო აღამან, გამოისროლა თოფი თავის სახლის ფანჯრიდამ, რომ არის ზემო საყდართან ახლოს, ეცა ტყვია ამ კათოლიკე უფროსსა და მოკუდა და იქვე საყდრის და წყაროს შუა ადგილს დაჰფლეს (უფრო წყაროსთან ახლოს). მაშინ შესცვივდნენ სალდათები გულო აღას სახლში, ვინც იპოვნეს იქ, სულ ამოჟლიტეს, – საღამო ხანს შემოვიდა ჯარი, განრისხებული ამ საქმეზედ და გარდასწვამდნენ ცეცხლითა სახლებს, რამეთუ ქუჩებში კიდევ იმალებოდნენ იარაღოსანნი თათრები, რომელნიც იმ ღამეს გათენებამდისინ, სრულებით გაიკრიბნენ ახალციხიდამ სოფლებში, აჭარას, არზრუმს, სტამბოლს და სხ, – ხოლო დილით რუსის ბრძანებითა ყოველი ხალხი განვიდა მინდვრად ზემო საყდრის მხარისაკენ და ახალციხის კათოლიკეთა უფროსი მღუდელი პავლე შაჰყულიანი (პოღოს ვარდაპედ შაჰყოლოვი) წინ გაუძღვა ჩვენს კათოლიკის ხალხსა; შეიკრიბენ და მივიდნენ პასკევიჩთან მისალოცველად ძლევა-შემოსილებისა თათართა ზედა და იმ დღეს მინდორში დარჩნენ. საღამოს ხანს შემოვიდნენ ტავშან-თაფის მხრიდან ახალციხესვე, სადაც მრავალს ადგილს ცეცხლის მიცემითა იწვოდნენ სახლები და დუქნები და ვინც მოასწრობდა გაქრობას, გადარჩებოდა დაწვისაგან. ამავე დღეს, როგორც გამიგონია მამაჩემისაგან, ამის დედას ელენეს ძვირფასი ნივთეული ჰქონია თავის მზითვისა დანაშთენი, თუალი და ვერცხლი, ოქრო და მარგალიტი და რადგანაც ეს ელენე იყო მიუკარებელი დედაკაცი, და უნდობელი ბებერი, ის თავისი მზითევი ედვა თავის უბეშივე და რა რომ დადიოდა სახლის გარეთ, მაშინ რუსის ჯართან დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ტფილისის მცხოვრებნიცა შეხუდენად სადმე რაჲმე საშოვრისა. და ერთსა მათგანსა მცხოვრებთაგანსა, შეუმჩნევია გზაში ხლათვით სიარული ელენასი, ჩაუყვია ხელი უბეში და ამოუცლია მისგან ის მზითევი. და მანამდისინ მოკუდებოდა ელენე (რომ იცოცხლა კიდევ ათიოდე წელიწადი), ყოველთვის ჰსწყევლიდა იმის მზითვის ამომცლელს.

(გაგრძელება იქნება)

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა „ბათუმი“, 1948 წელი

---

[1] ჩამატებულის ტექსტი ხელით

[2] ალბათ - კულე- ფეოდალური კოშკი

[3] ჩამატებულია ტექსტი ხელით

[4] სილაით- „სილაღი„

[5] აბუხტი ანუ აპოხტი – აჭარაში დაშაშხულ ქათამს უწოდებენ, საერთოდ აპოხტი ნიშნავს დაშაშხულ გამხმარ ხორცს.

[6] ყალაიჯი - მკალავი

[7] სიტყვა „დიდი“ ჩამატებულია

[8] ხანი - აჭარაში ხანს უწოდებდნენ ისეთ სადგომს, სადაც მგზავრები თავიანთი ქარავნითურთ ღამეს ათევენ,

[9] აღთქმა, ფიცის მიცემა

[10] ფრაზა „და სალავათი თქვიო, და ისიც ამბობდა: ღმერთო მაჩუქე ჩემი ცოდვაო“. ჩამატებულია ტექსტის ხელითვე

[11] „ღამით“ ჩამატებულია

[12] გულე - ყუმბარა

[13] ტავშან-თეფე - კურდღლის ბორცვი, მთა მწვერვალი

სამცხეური დექსიკონი

ააკაკაჩა - გაანათა
აბზილაკი - აბეზარი
აბონოროლდა - გაიწელა
აბუქაი - მსუბუქი ჭკუის
ავჯი - შარახვეტია
აზიზ-ხაფიფი - ნაზი
ათაქა - გაარტყა
აიბუზარა - სირბილი დაიწყო
აიბი - მიზეზი
აიჟინა - აიკვიატა
აკოკოლება - დაზვინვა
აკოღინა - დიდხანს აწვალა
აკუნტა - აჩქარდა
ალავზე - ყალყზე
ალალღა - სიცარიელე
ალიმა - ქვაბში საჭმლის დანალექი
ამადანი - უცებ
ამბაწი - უცხიმო შეჭამადი
ამოთოხლა - ამოჭამა
ამოტლახნა - გასქელდა, გაჯერდა
ამოჩორა - გაჭედა
აპოსკილი - დაობებული
არალუღი - ღრიჭო
არტაკანი - ანჩხლი
ასორსლა - აგორგოლება
აურადუნა - გალახა
აფუნგა - აქექვა; ლოგინის აშლა
აყაფრა - მაღლა აწევა
აჩიჩხვინება - არევ-დარევა
აჩული - თამამი
აჭინკული - მაღალი
აჭრუხუნებს - მზე აჭერს
ახტარმა - არევ-დარევა

ბათალი - უხეში, გაურანდავი
ბეივახტი - ადრიანად
ბეკი - შემაღლებული ადგილი
ბელგუჯი - ჯოგი
ბოლთვალა - მსხვილთვლებიანი
ბოლკო - ხის მონაჭრი
ბონოროლა - ხელოვნურად წაგრძე-ლებული
ბუდუმელა - გაუსვრელი
ბუსხანა - ცივი ადგილი
ბღანძულაი - ცელქი
ბღარჯი - ძველი ფეხსაცმელი.

გაიფათლა - ბევრი იტირა
გადაიყამთრა - გადაიხარა
გაერსიანდა - გაბრაზდა
გაიბლაშკა - მოიგორა
გაიმინდვრა - გაიჯეჯილა, არავისი ეშინია
გაიფაფარიჭა - გადაჯდა, დაისაკუთრა
გაიჭალალა - დაიჩემა
გაიჯარა - გაიჭედა
გაიჯაჯა - გადიდდა
გაიჭიფხა - მთელი ძალით დაიძაბა
გამგნეთი - შანსიანი
განქლეული - ძალიან გამხდარი, გალეული
გასერგნა - გათელა
გალეჩდა - გაცივდა
გასალანძავი - გაშავებული
გაქეშნა - გათელა
გაქიშტა - გაფუფქა
გაფლეკდა - გაიცალა, დაცარიელდა
გაღლაბე - დაქსელე
გახიზრა - ხის გაჭრა სიგრძეზე
გეყურბანე -გენაცვალე
გლისპი - დაუჯერებელი
გოთია - ბზრიალა
გრულა - დასანაყი

დააგალა – ჭდე დაატყო
დაამინათა - დააყვედრა
დააშეთიანა - დაარბია
დაგოზგა - დაგმანა
დადინდგლა - დადორბლა
დაენდვალა - დაეყრდნო
დათინგლა - შემოცხობა, შემორტყმა
დათონა - დაზვერა

დაიჩულა - დაითბუნა
დაკუტნა - დაკვნიტა
დამბა - ჯებირის გაკეთება
დაქი - შიში
დაშპა - გაიქცა, დაცურდა
დახალვათდა - დაინჯღრა
დეგენაგი - მსხვილი ჯოხი
დოღბაჭი - დოსგან გაკეთებული შეჭამადი
დრამფა - დაბალი და განიერი
დღუბი - ფისი
დუბუნა - გაუგებარი
დუდი - ინტერესი
დურდლო - ერბოს ქაფი

ერცახელა - ცოტაოდენი
ეგრიჯა - ბარბაცი

ველ-ველა - ძალიან მჭრელი

ზამბორია - ქარიანი ადგილი
ზარქოთაკი - მოუთმენლობა
ზარფიანად - სიძლიერით
ზეირი - ცივი ქარი
ზიანქარი - წამომწყრალი
ზივთი - ძალიან მოჩხუბარი
ზითანი - კორკოტის დასანაყი
ზინტი - მოფერება
ზომბოტი - მოუხეშავი
ზომპა - წიხლი

თავა - თუნუქის ტაფა
თამბულაი - მარილიანი წყალი
თანნა - მოცლილი
თანქლი - დაუშუშავი
თაჟა - ახალი
თარანინა - უპატრონო
თარფი - გადაკეტილი მდინარე
თაფული - თივის მოგროვება
თელი - მავთული
თეფერი- ხის სინი
თირფანი - ცელი
თობა - დანანება
თული - ერთნახადი
თურთუმელა - ნახიჭოს ნარჩენი.

იავნები - მსუბუქი ფეხსაცმელი
იენიყარა - წყევლა
ილა - არაქათი
ინჯიმანი - ეჭვი
იტისნება - იხილება
იფლაინი - ჯანი
იხრალი - გამართლება
იხჩინება - იკრიჭება

კარაკნები - ჭდე
კაჭუტაი - მოკლე
კახტაგანი - მათხოვარი
კეში - გაშეშებული
კიკნელა - ძალიან ცოტა
კონტალა - მოკლე და მსხვილი
კოპაჭია - მოკოხტავებული
კორტი - გაუტეხავი
კორხოლი - მაგარი უცხიმო ყველი
კოშტორი - მაგარი
კოჭანკალი - ეშმაკი
კოღა - ცარიელი, ფუტლიარი
კოხუნჯური - ქალამანი
კუკული - კვირტი

ლაბა - ჭუჭყი
ლამიტიპია - ტალახიანი
ლაღუნჯი - უჟმური
ლეყეცი - დაცემული, დაუშუშავი
ლოპუზა - სრიალა

მაკოღინა - მაწვალა
მალაღმა - არეულ-დარეული
მაწლაკი - ანჩხლი
მახიოკი - მასხარა
მეკეკაი - ფრთხილი
მერდევანი - კიბე
მერული - რკინის ფიწალი
მიენდვალა - მიეყრდნო
მიიჯლიხნა - გვერდზე გადასწია
მინნათი - საყვედური
მინქინია - გასაკვირი
მიჟენილი - აკვიატებული
მოგეჯა - დაანაგვიანა
მოთხინა - მოსვარა
მოიქედურა - მოინდომა
მოკვართა - მოალამაზა
მოკოკბა - მოლამაზება
მოკუტვნა - მოკვნეტა
მოროყა - დაანაგვიანა
მოცუცნა - მოასუფთავა
მოქანდული - მოღუნული
მოხელთა - მოსახერხებელი
მოხიჭა - მოყინა
მოწიტა - აქეთ-იქით მოადინა
მუდრეგი – უხეში

ნაგიჟარი - სულელი
ნამათი - პურის ჭამა
ნაფაღა - ქონება
ნაშალი - ფხვიერი მიწა
ნაურაზე - ტყუილად
ნაღიტაი - სუსტი
ნაღჭენი - ნაჭამი ვაშლის, მსხლის ნარჩენი
ნაჩხატაი – ძველი ცოცხი
ნიღნოი – ძალიან სუსტი

ოდეჟღერი - სველი
ოკო-ბოკო - ოღრო-ჩოღრო
ოლი-თოთო - მოუხერხებელი

პარის ჩაბმა - ხელიხელჩაკიდება
პატყოი - მსუქანი
პაწიწორი – თავს არ იწუხებს.
პიპინაქი - სავსე

ჟანატი - უმწიფარი
ჟულუხუნი - ბავშვის ცემა.

სავატობა - უადგილობა
სავაჯახი - წყლის გამყოფი
სალა - წნელისაგან დაწნული სინი
სამყევრო - მაღალი
სახათი - ინვალიდი
სექვი - ტახტი
სოსლოკინტა - წვრილი და მაღალი
სუზაგი - რკინის საცერი
სული-გვამი - ცელქი

ტაამქარი - მოუთმენელი
ტაბშარიკა - შარიანი
ტიმბუცი - უჭკუო
ტინკოცაი - დაუფიქრებლად მოლაპარაკე
ტრანკუჩი - გადაწევ-გადმოწევა
ტარეშა - უხასიათო და მძიმე ადამიანი
ტაშხარბული - მსხვილთვლიანი საცერი
ტორტლი - სველი
ტოტიღანაი - ულამაზო
ტურტურაი - თხელი
ტყოჯა - წყვილად მიბმა.

უზაბაკო - ხელშეუხები
უტუსუნაი - გაუსვლელი შინაბერა.

ფალაფოშაი - მოუმართავი, ულამაზო
ფაშარი - ძველი
ფაწალი - პრინციპული
ფიდანი - ნერგი
ფშვიტინა - სასტვენი
ფხეჭი - ნაჭუჭი
ფონთლო - მოშვებული
ფუშტი - მოღუშული

ქვიჯა - ქვის როდინი
ქესკუმი - მარდი
ქესტანა - გოგრის ერთ-ერთი ჯიშია
ქოთაკი - ხის ნარი
ქორფოვალი - არეულ-დარეული
ქუსტი - უქმი
ქუფე - ორმო
ქუჯბი - ზვინის ნაძირალი.

ღეტეტო - ღერო
ღლარწი - ძალიან სუსტი
ღოჯე- ორ შენობას შორის.

ყაბლიჯაი - მიუხეშავი
ყაიბი - უცებ დაკარგვა
ყამალა - ნორმა
ყიამყრალი - ავისმთქმელი
ყლარტი - ჭუჭყი
ყოდუღაი - დიდი, უხეში
ყუბა - ყუთი
ყურაუცი - წინდაუხედავი.

შეთაფუნება - უცებ შეკრება
შეისადარა - აინუნშიც არ ჩააგდო, თავი არ შეიწუხა
შიშტრიბუკა - გიჟი
შეჩათმა - შეჩურთა, სწრაფად შეაწყო
შორაღი - მლაშე წყალი.

ჩააჭარითა - ჭდე დაატყო
ჩაარია - ჩაადგა
ჩათაჯი - ველური
ჩაიქუქა - ჩაჯდა
ჩამეხრანგა - ხახა დამეწვა
ჩასქნავის - საწყლად დასცქერის
ჩაფხა - ქუდიჩაშმა - დანაგვიანებული
ჩაქანჯა - გადამალა
ჩაცვდი - წამებით სიკვდილი
ჩაჩმაჯა - ჩაქანჯა.
ჩაჩნაგირა - მოსამსახურე
ჩაჯიგრდა - გაშავდა
ჩეგილი - ხრეში
ჩიტირეკია - მსუბუქი ხასიათის
ჩივჩი - ძალიან კარგი მომსახურება
ჩინჩავატი - რაღაცის მომგონი
ჩომახი - კომბალი
ჩორკნა - ხის თლა.

ძიმძიმი - ხალხის სიმრავლე
ძინძგლი - ცუდი სუნი.

წაუშინა – ცემა დაუწყო
წაფელი - პატარა მწყემსი
წაწკი – ძალიან ენიანი
წერქი – წვენის ხარშვის დროს მი-ღებული სქელი სითხე
წკნატი - ძალიან წვრილი
წკიპარტი - ცეცხლის ნაპერწკალი
წურწუმი - წყლის წვრილი ღარი.

ჭაპის დაკვრა - ტაშის დაკვრა
ჭიმბური - ყველისა და პურის ნარევი
ჭილი-მილი - ურმის ბორბალზე გადაცმული რკინის სალტე
ჭუტა - წითელი სიმინდი.

ხათილი - დიდი ლურსმანი
ხარხამი - შემოღობილი ადგილი
ხაფანობს - ქაქანებს
ხიდოი - მაღალი
ხიტილო - უნახავი
ხოვრათი - უხეში
ხოშორი - ხშირი
ხსენი - პირველი მოწველილი რძე
ხუნჩლა - აკიდო
ხჩინოი - პირდაფჩენილი.

ჯავჯა - ძალა
ჯავჯოი - უხეში
ჯერმა - მინიდან ამოსული წყალი
ჯიჩოი -ჯოხი
ჯიხტოი - ეშმაკი
ჯიჯგოი - დაბალი და სქელი
ჯორიკაი - ხილის კურკოვანი ნაწილი
ჯოჩოი - ბავშვის სათამაშო ჯოხი
ჯრიქა - ქვიანი ხრეში.

ჰანი - სადაა
ჰელ-ჰელი - გიჟი

შეკრიბა ანტონ ბალახაშვილმა, 86 წლის, 2021 წელს. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი უდე

ზოგი სხვა აღათ-ჩვეულებები

ნათესაური ურთიერთობები. საერთოდ, როგორც ყველგან, სოფ. უდის მუსულმანური მოსახლეობის ნათესაური ურთიერთობა ჩვეულებრივია, განსხვავებული მხოლოდ ისაა, რომ აქ ორი თავისებური ზეგავლენა თავს იჩენს ხოლმე: პირველი, ადგილობრივი ძველი ქართული ზნეობრიობა, ადათ-ჩვეულებანი, გვარის არდავიწყება, ახლო ნათესავებიდან ცოლის შერთვისაკენ თავის არიდება, ქალისადმი პატივისცემა, მრავალცოლიანობისადმი ზიზღი, სტუმართ-მასპინძლობის ღირებულება და სხვა. მეორე: თურქულ-მუსულმანური ზნე-ჩვეულების ზეგავლენა: როგორც ცნობილია, მუსულმანური კულტურისა და თურქული ადათების მიხედვით, გვარი არ გრძელდება 2-3 თაობის შემდეგ, მუსულმანური მოსახლეობა კი, საერთოდ, არ ატარებს გვარს, რისთვისაც სულ მალე, მეორე თაობიდანვე დასაშვებია დაქორწინება. ჩვეულებრივია აგრეთვე ძმის ქვრივის შერთვა. ცოლის შერთვა შეიძლება გარდა დედისა და დისა, ყველა ნათესავისა, ზოგი გამონაკლისით, შარიათის მიხედვით, შვიდ ცოლამდე (ეს ხდება შეძლების მიხედვით).

თანახმად მუსულმანური ჩვეულებისა, ქალიშვილს დაბადებიდანვე მდარე ხარისხის ადამიანად თვლიან ხოლმე. მამამისს ერიდება, რცხვენია, რომ მიეალერსოს თავის ქალიშვილს. გოგო მოკლებულია რიგიანი ტანისამოსის ჩაცმას, სწავლა-განათლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მშობლები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაათხოვონ ეს „ზედმეტი ბარგი“. ხშირია შემთხვევა 18-20 წლის ქალიშვილს ირთავს 50-60 წლის მოხუცი. ისიც მეორე თუ მესამე ცოლად. აი ის თავისებური საზეგავლენო მიზეზები, რომლითაც განისაზღვრება ჩვენი სოფლის მუსულმანური მოსახლეობის ნათესაური ურთიერთობა და ზნე-ჩვეულება.

ქალის 12-13 წლებში გათხოვება ჩვეულებრივია, უმთავრესად, ქრისტიან მოსახლეობაში, რადგანაც სოფ. უდის ქრისტიანი მოსახლეობა მუსულმანური მოსახლეობისაგან ქალს არც იყვანს და არც აძლევს, ამისათვის იძულებულია იგივე სოფელში ქრისტიანს მიათხოვოს ან აიყვანოს ქრისტიანებიდან ქალი, რადგან ქრისტიანი მოსახლეობა სოფ. უდიდან ძალზე შორს რჩებიან (გამონაკლისს შეადგენს სოფელი არალი და ვალე). ბუნებრივია, ამას მოყვება ის შედეგები, რომ ხშირად მახლობელი ნათესავებიდან ქალის აყვან-მიცემა, რაც შთამომავლობისთვის ბიოლოგიურად ძალიან ცუდია.

მუსულმანური მოსახლეობისათვის ბაირამები ორჯერაა წელიწადში ერთი მეორეზე ორი თვით დაშორებული. წელიწადში ერთი თვე, მთვარის მიხედვით, იჭერენ მარხვას, ე.წ. „რამაზანს“, რაც ყოველ წელში ათი დღით ადრე იწყება. და ასე ბრუნავს წლის სხვა და სხვა დროებში. ეს ძნელი ასატანია იმ დროს, როდესაც მარხვა ზაფხულობით – გაცხარებულ სამუშაო თვეებშია. როცა რამაზანი მთავრდება, ახალი თვის პირველი დღე არის ბაირამი, ე.ი. დღესასწაული.

ბაირამის დღეს, დილის 8-9 საათის ბაირამის ლოცვის შემდეგ (ბაირამის დღეებში 6-ჯერ ლოცვაა, სხვა დღეებში კი 5-ჯერ) ჯამედან, ე.ი. მეჩეთიდან გამოსულნი, სადღესასწაულო საუზმეზე იწვევენ ერთი მეორეს. საუზმის შემდეგ იწყება ჭიდაობა და მრავალი სახის ლხინი. ეს „რამაზან-ბაირამია“. ამის ორის თვის შემდეგ მოდის „ყურბან ბაირამი“. შეძლებული მუსულმანები ამ დღეს ღმერთს სწირავენ რაიმე საკლავს (საქონელს ან ცხვარს). იმ შემთხვევაში თუ კაცი ღარიბია, მაშინ შეიძლება რამოდენიმემ ერთად ზიარი საწირავი დაჰკლან და დაურიგონ მუსლუმანებს უსასყიდლოდ. საღმრთოდ დაკლულ საქონლის ტყავზე ლოცვა მიუღებელია, ამიტომ საწირავის „ყურბანის“ ტყავს ინახავენ და ხმარობენ სალოცავად (ე.ი. დასაგებად, ებრაელების მსგავსად კი არა).

მუსულმანურ სამარცხვინო წესთაშორის აღსანიშნავია ძმის ქვრივის ცოლად აყვანა. როცა ძმა გარდაიცვლება, შარიათის ძალით ქვრივი მაზლს ეკუთვნის, რადგან იგი რძლისა და მაზლის ნათესავი არ არის. ეს ხდება მაშინ, როცა რძალს აქვს სახარბიელო მზითევი. თუკი იგი გათხოვდება სხვაგან, ბუნებრივია, თან წაიღებს მზითევსაც და, ამრიგად, ამ ოჯახს გამოაკლდება ეს სიმდიდრეც. ეს ძველი მუსულმანური წესია – ძმის ქვრივის შერთვის წესი იშვიათ მოვლენად იქცა და თანდათანობით სპობის გზას ადგას, ე.ი. რელიგიური კანონი უნიადაგოდ რჩება. ასევე ნიადაგი ეცლება ორცოლიანობასაც.

ქრისტიანული მოსახლეობის ძველ დღესასწაულთა შორის აღსანიშნავია „ყველიერობა“, რომელიც დიდ მარხვამდე იწყება და ერთ კვირას სულ ჭიდაობა გრძელდება. კვირის ბოლო დღეს იწყებენ „ბერობანას“, ბერობანა იგივეა, რაც „ყეინობა:. ბერობანის ბოლოს კი იმავე დღესვე ეწყობა „სამყრელოს“ ცერემონიალი, რაც შემდეგნაირად სრულდება: 6-8 კაცი აწყობს ფერხულის ცეკვას. ბოლოს მეფერხულეთა მხრებზე ადიან სხვა მოცეკვავენი და, ამრიგად, ორსართულოვან ფერხულს აგრძელებენ. ბოლოს მესამე სართულსაც აწყობენ და 12-15-მდე კაცი ართობს მთელ სოფელს. მეფერხულენი თან მღერიან:

„სამყრელო, სამყრელო,
ძირს ჩამოდი, სამყრელო!
ნუგეშ-ნუ გეშინია,
ქვეშ ბუმბული გიგია“...

„სამყრელოს“ თამაშის შემდეგ თავდება ყველიერებაც და მეორე დღესვე იწყება დიდი მარხვაც.

აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული თამაში 1913 წლის შემდეგ არ გამეორებულა. ყველიერების დაულ-ზურნით ჭიდაობის წესი კი 1934 წლის შემდეგ არ გამეორებულა.

დიდ მარხვის ბოლოს მოდის აღდგომა, სადაც სამადლიანი დღესასწაული ტარდება. ყველა ოჯახი ამზადებს საუკეთესო საჭმელებს. იწყება ჯგუფური ქეიფი და თამაში. ქალ-ვაჟნი საკვირაოდ ჩაცმულნი, ხელებში მრავალ ფერად შეღებილი კვერცხებით გროვდებიან სოფ. ხუროს მხარეზე, ე.წ. ხანდაკებზე, იქვე ციხის მიდამოებში, მუსლუმანთა სასაფლაოებში. ეს მხარე ამ დღეებში უკვე ოდნავ გამწვანებულია. აი ამ მიდამოებში ხდება ქეიფი, კვერცხის დაკვრის წესის გამეორება და მრავალნაირი ლხინი. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად მოლებისა და მღვდლების უთვალავი აგიტაციისა, რომ მხოლოდ თავიანთი რჯულია წმინდა და სხვა რჯული ცოდვებითაა სავსე, მუსულმან მეზობლებს არასოდეს არ დაუშლიათ ქრისტიანი მეზობლებისათვის თავიანთ სასაფლაოზე სმა-ქეიფი და ცეკვა-თამაში.

სოფლის ადადთა შორის საინტერსოა აღინიშნოს, რომ ახალ წელს, ჩვეულებრივი ლხინის გარდა, ყმაწვილები ჯგუფ-ჯგუფად დაივლიან ხოლმე ერდოებს პატარა კალათებზე თოკმობმული, ჩაჰკიდებენ ბუხრებში და თან დასძახებენ:

„ალათასა მალათასა,
ჩამოგკიდებ კალათასა,
ადე რძალო კვერცხი ჩადე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

ძახილით დაიარებიან, შეაგროვებენ საჭმელებს, კვერცხს, კაკალს, აპოხტსა და სხვასა და წაიქეიფებენ.

იმავე დღეს მუსულმანი ყმაწვილებიც იგივე წესით დაიარებიან ცალკე და ესენიც ბუხრიდან ჩასძახებენ ხოლმე:

„ბუ გეჯა ილ გეჯასიდურ,
ბახშიშ ვერანა ბირ ყოჩ ოდურ,
ვერმიანა ბირ ქორ ყიზ.
ოდა ბაჯადან დუშსუნ და
ფათლისინ და ჩათლასინ!“

რაც ქართულად ნიშნავს:

„ეს ღამე ახალი წლის ღამეა,
დოვლათიანების ღამეა.
საჩუქრის მომცემთ,
ყოჩი შვილს მისცემს.
ვინც საჩუქარს არ მოგცემს,
ბრმა ქალიშვილი მიეცეს,
ის ერდოდან გადმოვარდეს და
გასკდეს და გაიხეთქოს.“

კალათის ჩაკიდება ხდება განურჩევლად როგორც ქრისტიანებისა, ისე მუსლუმანების ბუხრებში, საჩუქრებს კი თანასწორად მიიღებენ ხოლმე.

ოქტომბრისა და მაისის დღესასწაულები ტარდება ისე, როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში.

თუ მუსულმანებში ხდება მხოლოდ ვაჟების მონათვლა, ქრისტიანებში კი ხდება ორივე სქესის ბავშვების მონათვლა. მონათვლის ცერემონიალი ეკლესიაშივე მთავრდება. ხანდისხან ეწყობა კიდეც მონათვლასთან დაკავშირებული ქეიფი. ქრისტიანებშიაც ნათლია მიღებულია როგორც მახლობელი ნათესავი, რომელსაც დიდი პატივისცემით ეპყრობიან.

ქორწილი ქრისტიანებშიაც ქალ-ვაჟთა შორის სიყვარულის საფუძველზე კი არ ხდება, არამედ ეს ხდება მშობლების თვალსაზრისით, ანგარიშის საფუძველზე. გათხოვების შესახებ მუსულმანებში ასეთი გამოთქმა მიღებულია: „ქალიშვილს თუ თავის ნებაზე გაუშვებ, უფროსი მეზურნეს გაჰყვებაო.“ ეს აზრი ფესვგადგმულია ქრისტიანულ მოსახლეობაშიაც.

ვაჟთა და ქალთა მხრიდან მოსული მაჭანკლების მოღვაწეობის დადებითად დამთავრების შემდეგ, ვაჟის რამოდენიმე მახლობელი ნათესავი სასიძოსთან ერთად თავიანთი ნიშნებით, ე.ი. სარძლოსათვის მოტანილი საჩუქრებით ერთად, ესტუმრებიან სარძლოს სახლს. იმართება შესაფერის თემაზე მუსაიფები, რაც გადაიზრდება ხოლმე ქეიფში. თამადას ქალის ნათესავებიდან ირჩევენ.

ნიშნობის დადებითად დამთავრების შემდეგ ე.წ. ჯვრის წერამდე, ე.ი. ხელის მოწერამდე, სასიძო დადის ქალის სახლში დრო გამოშვებით. ქალ-ვაჟის მშობლების შეთანხმებით ინიშნება საქორწილო დღე. ქალის მშობლები ქორწილს არ იხდიან, ვაჟის მშობლები აწყობენ ქორწილს. ქორწილი თითქმის იმავე წესით მიმდინარეობს, რაც საქართველოს ქართული ქრისტიანული მოსახლეობისათვის საერთოა, ამიტომ დაწვრილებით აღწერაზე არ ვჩერდები.

ლატიფშაჰ ბარათაშვილი,
„სოფელი უდე.
ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა.
1943-1944 წლები“.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com